# საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 30 ივნისი. 2018 წ. №134 (8535), ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 50 თეთრი.


**შოთა გლურჯიძე:**



## უძველესი კულტურის მქონე ქართველი ერი სულს ღაფავს!

4-5



## სტრატეგიული პარტნიორის იმედი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ელიზაბეტ რუდს შეხვდა.**

შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობასა და მის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებაზე. საუბარი შეეხო სტრატეგიული პარტნიორობის ყველა ძირითად მიმართულებას.

პრემიერ-მინისტრმა ამერიკულ მხარეს დეტალურად გააცნო საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები როგორც საგარეო პოლიტიკური კუთხით, ისე ქვეყნის შიდა განვითარების შესახებ.

განსაკუთრებით აღინიშნა ის ხელშესახები შედეგი, რომელიც ორ ქვეყანას შორისაა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში. გამოითქვა სურვილი, რომ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა პოლიტიკური და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის დონეს შეესაბამებოდეს.

აგრეთვე, საუბარი შეეხო იმ ეკონომიკურ რეფორმებს, რომლის განხორციელებასაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მთავრობის ახალი შემადგენლობა გეგმავს. ითქვა, რომ განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდება განათლების რეფორმაზე, რომელმაც უნდა შექმნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძველი.

ამერიკულმა მხარემ პოზიტიური შეფასება მისცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გეგმებსა და ხედვას ქვეყნის მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ ყველა ამ მიმართულებით საქართველოს უნდა ჰქონდეს მისი სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერის იმედი.

მთავრობის მეთაურმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ამერიკულ მხარეს იმ მხარდაჭერისთვის, რაც გამოიხატა ბოლო პერიოდში მიღებული რეზოლუციებით და განცხადებებით.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თედო ჯაფარიძე ესწრებოდნენ.

## დამნაშავე სააკაშვილი ნინო ბურჯანაძეს „ამხელს“!..

**საქართველოს მესამე პრეზიდენტი მისთვის გამოტანილ 6-წლიან გამამტყუნებელ განაჩენს კიდევ ერთხელ ეხმაურება და ვიდეომიმართვას საკუთარი ჯიბის ტელევიზიით და ინტერნეტით ავრცელებს. მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება ეფუძნება ნინო ბურჯანაძის ჩვენებას, რომელსაც იმ დროს ხელისუფლებაში არავინ ენდობოდა. მისივე თქმით, ვალერი გელაშვილის ცემის ბრძანება მას არ გაუცია და ასეც რომ ყოფილიყო, „რა ნიშნით უნდა გაენდო ეს ნინო ბურჯანაძისთვის, ან ვინმესთვის“.**

სააკაშვილი ამბობს, რომ ის გაკვირვებულია, რატომ დუმს არასამთავრობო სექტორი და პოლიტიკური სპექტრი ამ უკანონო გადაწყვეტილებაზე, რადგან მისი შეფასებით, ეს არის ყველანაირი კანონის ფეხქვეშ გათელვა.

**სააკაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებზეც საუბრობს, ამბობს, რომ შემოდგომაზე ხელისუფლება და ივანიშვილი დამარცხდება. მესამე პრეზიდენტი მხარდამჭერებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს, მაგრამ მას მხარდამჭერი ნიკა გვარამიასა და რომან გოცირიძის გარდა, აღარავინ დარჩა!..**



## ჰერეთი შველას ითხოვს!

3

## გაზრდილი კრიმინალი პირდაპირ დაარტყამს ქვეყნის ტურისტულ იმიჯს

6

**მირონ ხერგიანი**



## ერთი ჩინებული კაცი,

### ანუ „ხოჩა მაარე“ ათასი კოშკის (მურყვამების) ქვეყნიდან...

8

## თბილისის მერია ეროვნული გამოცდებისთვის ავტობუსების 5 მარშრუტს აამოქმედებს

**თბილისის მერია ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით 2 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით 06:00 საათიდან 20:00 საათამდე 5 სპეციალურ დროებით მარშრუტს დააწესებს.**

ავტობუსები საგამოცდო დღეებში იმოძრავებენ და მგზავრებს სტანდარტული ტარიფით – 50 თეთრად მოემსახურებიან.

ალნიშნული მარშრუტებია:

**მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“ – №175 საჯარო სკოლა.**

**ავტობუსი მოძრაობას დაიწყებს გობრონიძის ქუჩიდან, მოუხვევს დუმბაძის გამზირზე და მგზავრებს მუხიანის მე-3 მ/რ-ში №175 საჯარო სკოლასთან მიიყვანს, იგივე მარშრუტს გაივლის უკუმიმართულებითაც.**

**მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“ – №39, №173 და №177 საჯარო სკოლები.**

**ავტობუსი ხიზანიშვილის ქუჩიდან მარჯვნივ შეუხვევს ნანეიშვილის ქუჩაზე, გაივლის №39 და №173 საჯარო სკოლებს და კეცხოველის ქუჩით №177 საჯარო სკოლასთან მივა. ავტობუსი მეტრო „ახმეტელთან“ ნანეიშვილისა და ბოჭორიშვილის ქუჩების გავლით დაბრუნდება.**

**მეტროსადგური „ვარკეთილი“ – №117 საჯარო სკოლა.**

**ავტობუსი გაივლის ჯავახეთის ქუჩას, მობრუნდება „ვარკეთილის ხიდებამდე“, მარჯვნივ შეუხვევს შუამთის ქუჩაზე და მოძრობას №117 საჯარო სკოლასთან დაასრულებს. უკუმიმართულებით კი, შუამთის, კალოუბნისა და ჯავახეთის ქუჩების გავლით კვლავ მეტრო „ვარკეთილთან“ დაბრუნდება.**

**მეტროსადგური „სამგორის“ ზედა გასასვლელი – №103 საჯარო სკოლა.**

**ავტობუსი მოძრაობას მეტრო „სამგორის“ მიმდებარედ კახეთის გზატკეცილიდან დაიწყებს, შეუხვევს კაკაბეთის ქუჩაზე და მგზავრებს ყვარლის მოედანზე №103 საჯარო სკოლასთან მიიყვანს. უკუმიმართულებით ავტობუსი კაკაბეთისა და რამიშვილის ქუჩების გავლით, კახეთის გზატკეცილზე დაბრუნდება და მოძრაობას მეტრო „სამგორის“ ზედა გასასვლელთან დაასრულებს.**

**მეტროსადგური „დიდუბე“ – №147 საჯარო სკოლა.**

**ავტობუსი წერეთლის გამზირიდან რობაქიძის გამზირზე გადავა და პაიჭაძის ქუჩაზე ჩაუხვევს. ავტობუსი უკუმიმართულებით იგივე მარშრუტს გაივლის.**

## ჰონგ-კონგთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაა!

**მიმდინარე კვირაში გაფორმდა თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი ჰონგ-კონგთან. ჰონგ-კონგი არის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური ცენტრი და აქედან გამომდინარე, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეკრულება.**



დარწმუნებული ვარ, აღნიშნული ხელშეკრულების სრულფასოვანი ამოქმედების შემდეგ ჩვენი ექსპორტიორები შეძლებენ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესონ პოზიციები ამ ძალიან საინტერესო ბაზარზე

## კვირიკაშვილის პრემიერობის ეკონომიკის 7-პროცენტიანი ზრდა და ბახტაძის შეფასება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებით, ეკონომიკური ზრდის მონაცემები იმის დადასტურებაა, რომ მთავრობა სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს. ბახტაძე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს ეხმაურება, სადაც ნათქვამია, რომ მაისში ქვეყნის ეკონომიკა 7,5%-ით გაიზარდა:

**„რამდენიმე წუთის წინათ, „საქსტატმა“ გამოაქვეყნა ახალი მონაცემები და საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ მაისში მიაღწია 7,5%-ს. ასეთი მაჩვენებელი იმის დადასტურებაა, რომ მთავრობა სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს. ეს ასევე იმის დადასტურებაა, რომ ის რეფორმები, რომლებიც ჩვენ განვახორციელეთ და რომლებიც დავაანონსეთ, ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ეკონომიკური ზრდის ტემპები აუცილებლად იქნება დაჩქარებული. ისე, მინდა, აღვნიშნო, რომ ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივი ეფექტიც არის გაუმჯობესებული. პირველ რიგში უნდა შევეხო ექსპორტის ზრდას, რომელიც ამავე პერიოდის წინა წელთან შედარებით 50%-ით არის გაზრდილი, ეს სწორედ ამ ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იყო“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

## 30 ათას კომპანიას 550 მლნ ლარამდე დავალიანება ჩამოეწერება

ფინანსთა მინისტრის ნიკოლოზ გაგუას განცხადებით დაახლოებით 30 ათას კომპანიას ჯამურად 550 მლნ ლარამდე დავალიანება ჩამოეწერება. მისი განმარტებით, ეს დავალიანებები 2011-2012 წლებში წარმოიშვა:

**„აღნიშნული ინიციატივით კომპანიებს, რომლებსაც 2011 და 2012 წლებში დაერიცხათ საგადასახადო დავალიანებები და მას შემდეგ ისინი გაჩერებული არიან, აღნიშნულ კომპანიებს ეს დავალიანებები ჩამოეწერებათ“,** — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

## შავი ჯიპების ჩანაცვლების პროექტს ახალი პრემიერი ძალაში ტოვებს

**ახალი პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე სამთავრობო ავტოპარკში შავი ჯიპების ჩანაცვლების თაობაზე ყოფილი პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივას ძალაში ტოვებს. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის გიორგი ჩიქოვანის განცხადებით, ეკონომიკის სამინისტრო კვლავ გეგმავს არსებული მანქანების ელექტროავტომობილებით ჩანაცვლებას, თუმცა როდის მოხდება ეს, ჯერჯერობით, უცნობია.**

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სამთავრობო მანქანების — შავი ჯიპების ელექტროავტომობილებით ჩანაცვლება თებერვალში დააანონსა.

## ლიეტუვას სეიმმა საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო

**საქართველოსადმი მტკიცე მხარდაჭერის ხაზგასმის მიზნით, 28 ივნისს ლიეტუვის სეიმმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია რუსეთის მიერ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციის მეათე წლისთავთან დაკავშირებით.**

რეზოლუციაში სეიმი ეხმიანება და ეყრდნობა 2018 წლის 14 ივნისს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებით. სეიმის რეზოლუციაში დაფიქსირებულია მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ასევე ხაზგასმულია, რომ რუსეთს კვლავაც არ შეუსრულებია 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ვალდებულებები. რეზოლუცია აღნიშნავს, რომ მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭიროა, რუსეთმა გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან და აღდგეს საქართველოს იურისდიქცია აღნიშნულ რეგიონებში, განხორციელდეს ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო დაბრუნება და უზრუნველყოფილი იქნას ადამიანის უფლებათა პატივისცემა.



აღნიშნული რეზოლუციით, სეიმი აგრეთვე მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს მიერ წარმოებულ რეფორმებსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ასევე მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, ყურადღება გაამახვილოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე.

# დავსაჯოთ სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმი!



საქართველოს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმის სამართლებრივი შეფასებისა და დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნის რეზოლუციას ასაჯაროებს და მოსახლეობას ხელმოწერების შეგროვებისკენ მოუწოდებს.

გთავაზობთ ირმა ინაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ განცხადებას და რეზოლუციის პროექტს:

**„მეგობრებო, ესაა ჩვენი რეზოლუციის პროექტი, რომლითაც ვითხოვთ, რომ შეფასდეს სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმი და დაიწყოს დამნაშავეების დასჯა! როგორც იცით, იწყება ამ რეზოლუციაზე ხელმოწერების შეგროვების პროცესი. გადავწყვიტეთ, სოციალურ ქსელშიც იყოს ატვირთული ეს ნიმუში, რომ მოხალისეებს ამობეჭდვის საშუალება ჰქონდეთ. როცა ფურცელს შეავსებთ, პირადად მომწერეთ და აგიხსნით, როგორ უნდა მოგვაწოდოთ. თუ შეგიძლიათ, რომ შევსებული ფურცლები ჩვენი პარტიის ოფისში მოიტანოთ და პირველ სართულზე დაცვას ჩააბაროთ, დიდად დაგვავალებთ (ჩვენი მისამართია: თბილისი, სობჩაკის ქუჩა 3. კოლმეურნეობის მოედანთან სამხედრო კომისარიატის შენობა... ისტორიული ნაგებობაა, ადრე აქ ილია ჭავჭავაძის თავად-აზნაურთა ბანკი იყო განთავსებული). ვინც თბილისში ვერ ჩამოხვალთ, მომწერეთ და ჩვენი წარმომადგენლები რაიონების მიხედვით მოგაკითხავენ და გამოგართმევენ ფურცლებს. მნიშვნელოვანია, ყველა ხელმომწერს აუხსნათ, რომ ტელეფონით დაუკავშირდებიან და გადამოწმდება ყოველი პიროვნების ავთენტურობა, ამიტომ ზერელედ ნუ მოვეკიდებით ამ დოკუმენტს. ჩავთვალოთ, რომ ეს არის ჩვენი დროშა... ჩვენი შვილების მომავლისათვის უმნიშვნელოვანესი პროცესი და მორიგჯერ გამოვავლინოთ ჩვენი თავდადება, ენთუზიაზმი, შრომისმოყვარეობა. წინასწარ მადლობას გიხდით თანადგომისთვის. ხომ გესმით, რომ უნდა ვიმოქმედოთ, უნდა გავაერთიანოთ ძალები... და ეს უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მართლა არ იქნება მშვიდობა და სტაბილურობა, თუ დაიჩაგრება სამართლიანობა!“**

**საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტი**

**საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს:**

**სააკაშვილისა და ბოკერიას მმართველობის პერიოდში საქართველოში დამყარდა დანაშაულებრივი, ავტორიტარული რეჟიმი, რომელმაც:**

**ა) არჩევნების გაყალბების გზით განახორციელა საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების უზურპაცია;**

**ბ) უპირობოდ დაიმორჩილა სასამართლო სისტემა, გაასამართლა და დამნაშავედ ცნო მოსახლეობის 8%-ზე მეტი, ერთ დიდ ციხედ აქცია მთელი ქვეყანა, რასაც თან ახლდა პატიმრების წამების, გაუპატიურებისა და ღირსების შელახვის მრავალგზის დადასტურებული ფაქტები, რაც აისახა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 10 ივნისის დადგენილებაშიც;**

**გ) სისტემური ხასიათი მიეცა პოლიტიკური ოპონენტების დევნას, რაც აისახა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებაში, რომელშიც 190 პირი პოლიტპატიმრად არის აღიარებული, 25 — პოლიტდევნილად;**

**დ) ძალით წაართვა მესაკუთრეებს ყველა მსხვილი სატელევიზიო არხი და იძულებით აქცია ეს არხები თავისი დანაშაულებრივი ქმედებების მეხოტბეებად;**

**ე) განსაკუთრებული სისასტიკით დაარბია 2007 წლის 7 ნოემბრის, 2009 წლის 6 მაისის, 2009 წლის 15 ივნისისა და 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციები, რასაც თან ახლდა მშვიდობიანი დემონსტრანტების მკვლელობა, დასახიჩრება და მასობრივი დაპატიმრება;**

**ვ) მოსახლეობის დაშინების მიზნით, ქვეყანაში გამოაცხადა ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა, რის შედეგადაც ღიად, ცინიკურად, საზოგადოების დასანახად მოკლა 150-ზე მეტი ადამიანი;**

**ზ) ასიათასობით ოჯახს უკანონოდ ჩამოართვა ქონება, ბიზნესი თუ კაპიტალი;**

**თ) თავისი მოღვაწეობა დააგვირგვინა კოდორისა და ახალგორის ჩაბარებით, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 22%-ის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება;**

**ჩამოთვლილ დანაშაულებზე პასუხისმგებელნი უდავოდ არიან მ. სააკაშვილი და გ. ბოკერია, მათგან კონტროლირებადი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისი განაყოფი „ევროპული საქართველო — მოძრაობა თავისუფლებისთვის“.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:**

**1. საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა გამოცხადდეს სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად;**

**2. ექვსი თვის ვადაში პასუხისმგებლობა დაეკისროს სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივი რეჟიმის ყველა მთავარ ფიგურანტს, სათანადოდ დაისაჯონ ყველა რეზონანსული საქმის დამნაშავე პირები;**

**3. საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს ამ რეზოლუციის აღსრულების ოპერატიული კონტროლი;**

**ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი მოვითხოვთ საქართველოს პარლამენტისგან ამ რეზოლუციის მიღებას.**

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად სრულად იზიარებს პატრიოტთა ალიანსის ლიდერის ამ მოთხოვნას და ერთსულოვნად უერთდება ხელმომწერთა არმიას.



# ჰერეთი შველას ითხოვს!

**რამდენი დეპუტატი და თანამდებობის პირია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი საქართველოში და ამ მხრივ მეზობლებთან პროპორცია როგორია, ერთი ვინმე ამით დაინტერესებულა? არა და არა, რადგან „სოკარი", სადენები, ბიზნესინტერესები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია „ახალი ქართველისთვის". სხვა დანარჩენი ეშმაკსაც წაუღია. მაგრამ უპრინციპობასაც რაღაც ლაგამი ხომ უნდა ჰქონდეს?**

**ამ დღეებში, სოციალურ ქსელ ფეისბუქზე, შემდეგი შინაარსის ინფორმაცია გავრცელდა: საინგილოში, ზაქათალის რაიონის სოფელ მოსულის საშუალო სკოლის დირექტორმა მე-11 კლასის მოსწავლეებს გამოსაშვებ ზეიმზე ქართულენოვანი წარწერების გაკეთება სასტიკად აუკრძალა. ამავე წყაროსგან გამოჟონა ამბავმა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია აღნიშნულ სოფელში, საერთოდ, ქართული სექტორის დახურვას აპირებს.**

**ამას წინათ, ჰერეთის (საინგილო) მკვიდრს ბესო კუზიბაბაშვილს კახის რაიონის პოლიციის განყოფილებაში სასტიკად სცემეს. მან წამების ნიშნები ქართული მედიის საშუალებით გაახმაურა. მალევე მსგავს პროცესებს თბილისში, აზერბაიჯანის საელჩოს წინ საპროტესტო აქცია მოჰყვა.**

ისტორიული ჰერეთი (კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები), საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აზერბაიჯანის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ერთიანი „საბჭოთა ხალხისთვის" რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომელი ეთნიკური ჯგუფი ტერიტორიულად სად იცხოვრებდა? სამწუხაროდ, რეგიონში ამგვარად მხოლოდ ჩვენებური ბოლშევიკები ფიქრობდნენ სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით.

ძირძველი კუთხე „გაღმა მხარეს" აღმოჩნდა. მეზობლებმა ჰერეთი საკუთრებად დაიგულეს თუ არა, იქ მცხოვრები ქართველების ღია ასიმილაციას მიყვეს ხელი. არამეგობრული პოლიტიკა ღრმა საბჭოთა დროებიდან მოყოლებული ხორციელდებოდა. მიზანი ერთი იყო და არის – დღევანდელი აზერბაიჯანის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ქართველები არ უნდა ცხოვრობდნენ!

იქამდე მივიდნენ, რომ მშობლებს ბავშვებისთვის ქართული სახელების დარქმევასაც უკრძალავენ, - სახელები იქვე მოთავსებული წიგნიდან უნდა შეირჩეს, სადაც დედამიწაზე არსებული ყველა სახელს აღმოაჩენთ, ქართულის გარდა.

შედეგები სავალალოა, კახის რაიონში მართლმადიდებელი ქართველების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. ადამიანები უბრალოდ გარბიან, რადგან ადგილზე სამსახურის, ნორმალური არსებობისთვის არანაირი საშუალება არ არსებობს.

ქურმუხის ეკლესიიდან „ალბანური წარმოშობის" ბანერი მხოლოდ მას შემდეგ მოაშორეს, რაც ამ პროვოკაციას ადგილობრივების და თბილისის მხრიდან არაერთი პროტესტი მოყვა. სხვა ეკლესიები ძირითადად უმოქმედოა და იქ ადამიანებს სალოცავადაც არ უშვებენ. ჰერეთში ქართული ინტორიის, კულტურის ნებისმიერი გამოვლენა „საფრთხედ" არის აღქმული.

**ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, ადგილობრივებს მოვუსმინოთ, რომელთა ვინაობასაც, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, არ ვასახელებთ.**



თამარის ხიდი

**თემურ ო. ამბობს, რომ ზაქათალასა და ბელაქანში მთავარი სამიზნე ქართული სასკოლო სექტორებია და მიზანმიმართული დარტყმებიც მათზე ხორციელდება. მისივე თქმით, დაბა ალიაბადის (ისტორიული ელისენი, სადაც 12 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს) ოთხი საშუალო სკოლიდან ქართული სექტორი დღეს მხოლოდ ერთშია შემორჩენილი, – სკოლის დახურვა კი უზარმაზარი დასახლების სრულ ასიმილაციას უტოლდება:**

„ამ ქართულ სექტორზე პირველ კლასში 10-12 ბავშვს იღებენ, რადგან გაძლიერებული პროპაგანდისა და ზეწოლის შედეგად მშობლები ველარ ბედავენ ქართულ სექტორზე მიყვანას. თუ ალიაბადში ეს ქართული სექტორიც დაიხურება, უახლოეს მომავალში იგივე ბედი ელის მეზობელი მოსულისა და ბელაქნის რაიონის სოფელ ითითალის სკოლებს.

წლებია, ადგილობრივ მასწავლებლებს საქართველოში სასწავლო-საგნობრივი ტრენინგები არ გაუვლიათ. ასევე, სკოლებს ქართული სახელმძღვანელოები არ მიეწოდება. ბავშვები დახეული წიგნებით სწავლობენ და ამ მხრივ პერსპექტივაც კარგი არ არის. ვისაც საზღვარზე პარტიზანული წესით გადატანა უწევს, თუ მებაჟეებმა აღმოუჩინეს, პასუხისგება მოუწევს. ხოლო წიგნს უბრალოდ ჩამოართმევენ და იქვე ახლოს დაასაწყობებენ. განსაკუთრებით რელიგიურ გამოცემებს ემტერებიან".

**კახაბერ კ.-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მშობლებს შვილები საქართველოში შიშის გარეშე ვერ გამოუშვიათ (სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ). მისივე განმარტებით, საზღვარზე, ლაგოდეხში გადმოყავთ და ისე აბარებენ ორგანიზატორებს:**

„მიზეზი მარტივია, ადგილებზე ამ საქმის ორგანიზატორებს, როგორც სახელმწიფო მოღალატეებს ისე დასდევენ. არ გჯერათ? ერთი კარგად მოიკითხეთ და დარწმუნდებით.

აი, აქ ვადგებით თბილისის მხრიდან, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უპრინციპობას სტრატეგიული პარტნიორის წინაშე. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენს მთავრობას საერთაშორისო ბანაკის ყოველწლიური საზაფხულო პროექტი აქვს, სადაც ინგილო ბავშვებსაც ეპატიჟება. უკვე წლებია, იმდენს ვერ მიაღწიეს მეგობრებთან, რომ საინგილოს სოფლებში ოფიციალურად ჩავიდნენ და თანამემამულე ბავშვები წამოიყვანონ.

ეს მხოლოდ ერთი თვალსაჩინო მაგალითია ქართული მხარის ელემენტარული უპრინციპობის... ამ ყველაფერს სხვა რა შეიძლება ეწოდოს? გეკითხებით ბატონებო, რატომ ვერ შედიხართ წელიწადში ერთხელ მაინც ჰერეთის სოფლებში და იქიდან თანამემამულეები ბანაკში დასასვენებლად რატომ ვერ მოგყავთ? მაინც რამდენ ბარელ ნავთობად შეაფასეთ ეს ყველაფერი?

ან რანაირი მეგობარია, როცა თანამემამულე ბავშვის წამოსაყვანად საზღვარზე არ გიშვებს და ლაგოდეხში ელოდები? როდის დააყენეთ ეს საკითხი პრინციპულად მათ წინაშე?

არ გიშვებს ერთია და ვინც ორგანიზებას უწევს ადგილზე დიდი რისკის ფასად, მათაც ტერორის ქვეშ ამყოფებს „სტრატეგიული" მეზობელი. ესეც თუ არ გჯერათ, აბა იკითხეთ, რა დაემართათ წლების განმავლობში ამ საქმეში ჩარეულ ადამიანებს. რისთვის აფინანსებთ „სუს-ს", თუ ელემენტარული ინფორმაციები არ გაქვთ ირგვლივ მომრავლებული „ვირეშმაკების" აღვირხსნილ დამოკიდებულებებზე?

ბოლო ფაქტებს გეტყვით და იმოქმედეთ, თუ ამის რამე უნარი შერჩენილი გაქვთ. ერთ-ერთ სოფელში ბავშვების შეკრების ინიციატორი პედაგოგები (ვინაობას მათივე ინტერესებიდან გამომდინარე არ ვასახელებთ) რაიონის პროკურორმა კაბინეტში დაიბარა და სულ მაგიდაზე ხელები უბრახუნა, – იმდენი ბრალი შემიძლია წაგიყენოთ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზეო. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს პედაგოგები ქალბატონები არიან. ეს არის მეგობრული დამოკიდებულება?




თქვენ სად გძინავთ ამ დროს? კიდევ ერთ სოფელში ორი მცირეწლოვანი შვილის დედას (ქმარგაცილებულს) თავზე დაადგნენ და შეაშინეს, - შენ ნახე, კიდევ საქართველოს ბანაკებში ბავშვების წაყვანაზე თუ იზრუნებო. თქვენ ამ დროს დგახართ ლაგოდეხში და ელოდებით ხომ? თან არაფრით არ გინდათ „პარტნიორი" გააღიზიანოთ.

რომელი ერთი ჩამოვთვალო, სადაც აზერბაიჯანული მხარის, რბილად რომ ვთქვათ, არამეგობრულობა და ქართულის არნახული უპატივცემულობა ჩანს? ამ დროს აქ, საქართველოში რა ხდება? სად, რომელ აზერბაიჯანულ სოფელში გსმენიათ, რომ მშობლიურ ენაზე სკოლა (ან მარტო სექტორი სად გეგულებათ?) დაეხურათ, ან აზერბაიჯანული სახელის დარქმევა აეკრძალათ? ასეთი უმსგავსობა არც უნდა ხდებოდეს, მაგრამ ჩვენივე თანამემამულეებს ასე რომ ექცევიან, ამაზე ხმას რატომ არ იღებთ?"

**ქართული დემოკრატია იმ დონეზე განვითარდა, რომ სამხრეთ რეგიონებში მერებად, გამგებლებად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ვირჩევთ, რომელი ეთნიკური ქართველი აირჩიეს ჰერეთში ან სხვაგან მაღალ თანამდებობაზე კი არა, საერთოდ თანამდებობაზე? აბა გაიკითხეთ, საინგილოში ასეთი რამ თუ ყოფილა.**

**ამასთან დაკავშირებით, ნუგზარ ბ. გვეუბნება, რომ წლების წინათ, ერთმა ადგილობრივმა ქართველმა „მილი მეჯლისის" (პარლამენტის) დეპუტატობა მოინდომა. მისივე თქმით, მხოლოდ ამ სურვილის გამო საერთოდ ქვეყანა დაატოვებინეს:**

„ვინმე დაინტერესდა ამ ამბით, როცა ჯერ კიდევ მამა ალიევი ბაქოში ჩასულ ქართველ დეპუტატებს ეკითხებოდა, – არ გრცხვენიათ მაინც, რომ ქვემო ქართლიდან პარლამენტში დეპუტატი არ გყავთო?

რამდენი დეპუტატი და თანამდებობის პირია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი საქართველოში და ამ მხრივ მეზობლებთან პროპორცია როგორია, ერთი ვინმე ამით დაინტერესებულა? არა და არა, რადგან „სოკარი", სადენები, ბიზნესინტერესები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია „ახალი ქართველისთვის". სხვა დანარჩენი ეშმაკსაც წაუღია. მაგრამ უპრინციპობასაც რაღაც ლაგამი ხომ უნდა ჰქონდეს?

სხვებზე რა უნდა ვილაპარაკოთ, როცა საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე ისიც ვერ მოიფიქრა, რომ ბაქოში ჩვენს საელჩოში ჰერეთის ერთი წარმომადგენელი მაინც დაესაქმებინა; ვისაც კუთხის პრობლემები სისხლხორცეულად გასიგრძეგანებული ექნებოდა და დღენიადაგ მათ მოგვარების გზებზე იმუშავებდა. ამ დროს, ის მაინც თუ იცით, თბილისში აზერბაიჯანის საელჩოში რამდენი აქაური მუშაობს?"

შორენა მ. გულისტკივილს გამოხატავს, რომ საქართველოში ყველანაირი სასწავლო-სამედიცინო შეღავათები გაუქმებულია ჰერეთის ქართველების მიმართ, – ეს საკითხი წლებია, აღარავის აინტერესებს. მისივე თქმით, თსუსთან არსებული ინგილოთა მოსამზადებელი განყოფილებაც 2005 წლიდან დაკეტეს:

„კარგია, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლებს ვაფინანსებთ, მაგრამ საუკუნის წინ დაკარგული კუთხის შვილებმა, ჰერეთელებმა რა დააშავეს, როცა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში სრულ გადასახადს ვახდევინებთ? ნუთუ არ შეიძლება, უფრო ადამიანური დამოკიდებულების გამოჩენა იმ ხალხის მიმართ, ვინც უმძიმეს ისტორიულ ქარტეხილებში ჩვენი ფესვები დღემდე რუდუნებით შემოინახა?

**ძირძველი ქართული კუთხის, ჰერეთის მიმართ ადგილობრივი აზერბაიჯანული ადმინისტრაციის დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვნად არამეგობრულია. ამ ფონზე, ოფიციალური თბილისიც მაგრად სცოდავს, როცა ადგილზე რეაგირებას არ ახდენს, ხოლო აქ არაფერს აკეთებს ჰერეთელთათვის ელემენტარული თანადგომის აღმოსაჩენად.**

**ამ დროს ქურდს რა უნდა, ბნელი ღამეო, – ხედავს რა თბილისის უპრინციპო დამოკიდებულებას, მავანი ყველაფერს აკეთებს საინგილოში ქართული კვალის ერთხელ და სამუდამოდ წასაშლელად.**

დასკვნა ერთმნიშვნელოვანია – საქართველოს ხელისუფლებაში გონიერი ადამიანები უნდა დასხდნენ და ჩამოყალიბდნენ, რა პოლიტიკა აწარმოონ ჰერეთის, იქ მცხოვრები ქართველების მიმართ. რა კონკრეტული ნაბიჯები გადადგან, რათა იქაურებმა თავი ყველასგან მიტოვებულად არ იგრძნონ. ამ დროს ქვემო ქართლის წარმატებებმა მეგობრობის ხიდის როლი უნდა შეასრულოს და არა პირიქით. ნორმალურ პირობებში, კი თბილისისა და ბაქოს სტრატეგიულ მეგობრობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, თუ ფეხის დადებას (როგორც ეს საინგილოში ხდება) ადგილი არ ექნება".

**თუ ვინმე იტყვის, რომ ჰერეთისთვის თანადგომას, მისი პრობლემების გაზიარებას დღევანდელი ქართული სახელმწიფოებრიობისთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მაშინ ქვა პირველმა ისროლოს.**

და კიდევ, ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ხე ფესვებიდან იწყება და ერთიანი ქართული ფესვები ჰერეთში რეალური საფრთხის წინაშეა. საფრთხე იოანე ზოსიმეს ენის დავიწყებისა, კუთხის დაკარგვისა, სადაც ყოველი ქვა საქართველოს დიდ წარსულზე ღაღადებს. ამიტომ დროზე გამოფხიზლდით და იმოქმედეთ, ბატონებო!

**შავლეგ ბერიძე**
**საინგილო-თბილისი**

# უძველესი კულტურის მქონე ქართველი ერი სულს ღაფავს!





**ბედნიერი ვარ, რომ ნგრევის ეპოქაში მავანმა შეინარჩუნა ღირსება, სახე და კიდევ უფრო გაიღრმავა ინტელექტი, დარჩა შეუბღალავი რეპუტაციით, პრინციპულობით, გულწრფელი პატრიოტიზმით და გულშემატკივრობით იღვწის და იბრძვის ეროვნული ღირებულებების გადასარჩენად, რომელთა ერთობლიობას ჰქვია ერთსიტყვიანი სახელი — ქართული კულტურა!**

**და ორმაგად ბედნიერი ვარ, რომ ამ გულშემატკივარ მავანთა შორის გამოირჩევა დაძმა გლურჯიძეების დუეტი, უღირსეულესი მშობლების ღირსეულად აღზრდილი შვილები.**

**მადლობა შოთა გლურჯიძეს ამ ტკივილიანი და კომპეტენტური წერილისთვის, რომელსაც სიამოვნებით ვთავაზობ „საქართველოს რესპუბლიკის“ გონიერ მკითხველს...**

**ნუგზარ ფოფხაძე**

როგორ უნდა მოიპოვოს პური მისი არსობისა თანამედროვე „კულტურაში მოღვაწე ინტელექტუალმა“, როგორც „ზნეობრივი ფრონტის მუშაკმა“, ზეგარდმო დაშვებულმა ფუნქციონერ-ქურუმმა (работник умственного труда) თუ ადამიანმა, რომელიც არასდროს არ ასრულებს არანაირ სამუშაოს დაკვეთით, დიდების, თვითდამკვიდრებისთვის ან თვითგამოხატვის ვნებით შეპყრობილი, წარმატებულობისთვის ან ეფექტურობისთვის (Efficiency), არამედ როგორც ჩინელი მოაზროვნის ჯუან-ძის სრულიად ბრძენი ხის მკვეთი ოსტატი ცდილობს, დაივიწყოს დამკვეთი, ჯამაგირი, საკუთარი სახელიც კი, რათა აღმოაჩინოს ტყეში ის ერთადერთი ხე, რომელსაც თვითონ სურს, გახდეს მასში გამოკვეთილი ნივთი.

ამ ტექსტში შევეცდები, ამ იდეალს ვემსგავსო, თუმცა სრულიად არ ვარ ის ბრძენი ოსტატი და რა ნივთი უნდა გამოვკვეთო, ისიც არ მაქვს ბოლომდე გააზრებული, იმასაც ვფიქრობ მოლიერის „სკაპენის ოინების“ სევდიანი მსახურივით, „რა ეშმაკმა გადმომისროლა ამ წყეულ გალერებზე?..“ ისე, რომ მივყვები ჩემს აზრებს და ისევ ჯუან-ძის ბრძენი ყასაბივით ძალას არ დავატან ალესილ დანას, მივყვები ძარღვებს და შევეცდები პრეპარაციას იმ ბინდით მოცული ფენომენისა, რასაც ჩვენში „ქართულ კულტურას“ უწოდებენ.

## „HI“ – კულტურა როგორც ზნეობრივი აუცილებლობა

1991 წელს თბილისის სამოქალაქო ომის დროს ჩემთვის უსაყვარლეს მსახიობს ზინაიდა კვერენჩხილაძეს შვილიშვილმა ჰკითხა: ბებო, რატომ ისვრიან ქუჩაში? ქალბატონმა ზინამ მოხდენილად უპასუხა — იმიტომ, რომ წიგნებს არ კითხულობდნენო. მე დავამატებდი — და კბილებსაც არ იხეხავდნენ, რათა ყოფითი კულტურის დეფიციტიც შეგახსენოთ! ჩემი აზრით, ამ პატარა დიალოგში გადმოცემულია ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე დეგრადაციის ის პროცესი, რომელიც მოჰყვა, ალბათ, რელიგიური სეკულარიზმის 200-წლოვან პროცესს მთელს ევროპაში და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში და მის მომყოლ პოსტსაბჭოეთში.

ამ პროცესების კვლევა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ამაზე მაინც შევთანხმდეთ, რომ ჭეშმარიტი კულტურის მიზანმიმართული განდევნა ხდებოდა საზოგადოებრივი გონის სივრციდან და მისი სხვა, ახალი გლობალური ცივილიზაციის „ფასეულობებით“ ჩანაცვლება, როგორიცაა: წარმატებულობა, ეფექტურობა, ფიტნესი, სწორი და ჯანმრთელი კვება, სექსუალური კმაყოფილება, გართობა, ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად აღმავალი კომფორტი, ჰიპერ აგრესიული ათეისტურ-გნოსტიკური რელატივიზმი, თუ ასევე აგრესიული ათეისტურ-გენდერული თანასწორობა და ეს ყველაფერი მკვიდრდება როგორც ახალი საზრისი და ახალი გამოცხადება განდობილთათვის და ერთგვარი ლიბერალური გაზის კამერა ბნელი გონებისთვის.

ულტრალიბერალურ „პოლიტბიზნეს ელიტაში“ გამეფებული ტრენდის მიხედვით „კულტურის სამინისტროს“ ფუნქციაც მარტივად განისაზღვრა მხოლოდ გართობის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობით, მეგა შოუებისა და „ფეშენ-ივენთების“ დაფინანსებით, ერთგვარი საყოველთაო“ „ჩექინ-ჯორჯიობით“.

მასობრივი „დაჩექინება“ საზომია წარმატებისა და წარმატებული კულტურის პოლიტიკაც აწი „დაჩექინებული“ ადამიანების სიმრავლით განისაზღვრება. ისეთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი კვლევა, განიხილება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ასპექტში და იქამდეც მივიდა საქმე, რომ ჩვენი „კულტურის მენეჯერ-კურატორნი“ მოითხოვენ ეკლესია-მონასტრების საქართველოს სამოციქულო ეკლესიისგან ჩამორთმევას და „კულტურა-გართობის“ ან ტურიზმის სამინისტროზე გადაცემას, რადგან „ბნელი სამღვდელოება“ შორტებში გამოწყობილ „ინტურისტებს“ ხელს არ უშლიდეს, დატკბნენ ეკლესიაში (მათი აზრით, შემთხვევით განთავსებულ-გამოფენილი) Art-ნიმუშებით.

სრულიად მიზანმიმართულად ხდება ამ ნეობოლშევიზმის ზეობით აღტყინებული „მეცნიერ-მენეჯერების“ მოთხოვნების ტირაჟირება მედიაში, რათა ქართული სამოციქულო ეკლესია წარმოჩინდეს ბნელ, რეტროგრადულ ძალად, რომელიც ანადგურებს კულტურის ნიმუშებს და დამკვიდრდეს საზოგადოებაში მის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება.

მინდა, შევახსენო ამ მოაზროვნეებს: ის, რაც მათთვის არტეფაქტია, ეკლესიისათვის სიწმინდეა და არა მგონია, დედა უფრო ნაკლებად ზრუნავდეს შვილზე, ვიდრე ბოროტი დედინაცვალი.

ამ ტენდენციებში ევროპასთან შედარებით ნამდვილად ავანგარდში ვართ, როგორც უწინ ათეისტური ევროპის წიაღში აღმოცენებულმა მარქსისტულმა სექტამ ჩვენში უფრო მონახა ნოყიერი ნიადაგი, ახლაც ულტრალიბერალური ევროპის ავანგარდშია პოსტსაბჭოთა საქართველოს „საზოგადოებრივი ელიტა“.

კაცობრიობის ისტორიაში ცივილიზაცია ყოველთვის კულტურასთან დაპირისპირებაში არ ყოფილა, იყო ეპოქები ცივილიზაციის ერთგვარი სინერგიისა კულტურაში, ანუ კულტურული ცივილიზაციებისა.

დღევანდელ პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციაში კულტურა მისი ანტაგონისტია და მისი უარყოფა ერთგვარ „კულტურულობადაც“ გვევლინება. მთავარია, უარყო ზნეობრივი, გამოიწვიო ე.წ. „კულტურული შოკი“, გამოხვიდე ზნეობრივი ფარგლებიდან.

ფორმა, მხოლოდ ფორმა შინაარსის გარეშე,ნგრევა როგორც კულტურული აქტი, ამ ასპარეზზე თანაბრად მოქმედებენ „Art-აქტორები“ და თალიბანის მოჯაჰედები, აქ საოცრად დაემთხვა რელიგიური ფუნდამენტალისტების და არტ-კურატორების გემოვნება. განადგურება ყოველგვარი ტრადიციისა, რაც მეხსიერებასთანაა დაკავშირებული, განადგურება მორალისა და თვითგანადგურებაც კი როგორც ზესუბლიმაცია პიროვნულობის, ეგოს უმაღლესი გამოვლინება, როგორც რაღაც საშიში, რელიქტური წარმართული ექსტაზის უმაღლესი მწვერვალი...

**თითქოს აღშფოთებულია მსხვერპლით ევროპელი ტოპ-მენეჯერი, გვირგვინებით ამკობს მსხვერპლშეწირვის ადგილს, მაგრამ შემდეგ საღამოს ეწვევა რომელიმე Art-აქციას, სადაც მოწინავე, წარმატებული მხატვარ-მენეჯერი ყვერების მიჭედებითაა დაკავებული ქვაფენილზე ან ბოსტნეულს ირჭობს ოთხზე დამდგარი შიშველ უკანალში და შემდეგ ეს საშუალო რგოლის მენეჯერ-მოქალაქე კმაყოფილი მოჯდება რომელიმე მოდურ კლუბში ან დისკოტეკაში კოკაინითა და ექსტაზით გაბრუებული ასეთივე მენეჯერ-მეგობრების წრეში და ერთობა, გართობა ხომ უმაღლესი მიზანია, გართობა როგორც უზენაესი სიკეთე.**

აქ უკვე მარსელ დიუშამის ცნობილი პისუარი ბებიების და ბაბუების ცულლუტობად გვეჩვენება. იქ, სადაც ფერწერა არ არსებობს და ის მხოლოდ Art-ობიექტია, მწერლობა Art-ტექსტი, ქანდაკება ინსტალაციაა და არა აქვს უკვე ეპატაჟს ზღვარი, უკვე აღარც გვაოცებს და გვაშფოთებს, მორალი ხომ აღარ არსებობს და შესაბამისად ამორალურიც და მდაბიოც ისე გაითქვიფა მაღალში, ისეთი სასაცილო გახდა ტერმინები მაღალი ხელოვნება, განცდა, აღსარება, ლოცვა, კათარზისი, რომ ამ სიტყვების წარმოთქმაც კი უხერხულია საჯაროდ. ახალი მომთაბარე გულღვიძლს რომ ამოაჭამს უსულო ცხედარს. ისიც Art-აქციად ეჩვენებათ და, ალბათ, მოწინავე Art-კურატორთათვის ეს ახალი საკმაოდ ორგინალური და რა ვქნათ, ცოტა სისხლიანი ჰეფენინგია.

ალბათ, მადლობა უნდა შევწიროთ უფალს, რომ ამ ყველა „Art-აქტორების“ და „Art-კურატორების“ მეშვეობით ნათლად დაგვანახა არმაგედონის მოახლოებული კონტურები, მაგრამ ამ ვალპურგიის ღამეში მე პირადად ჩემი შვილების აღზრდას არ ვაპირებ. შპენგლერის ევროპის მწუხრი ევროპის გონის სრულმა დაბნელებამ შეცვალა. როგორც შედეგი, მოხდა მზის დაბნელება საქართველოშიც, ჩვენ ხომ, მაშასადამე, ვართ...

ჩემი აზრით, ზნეობის გარეშე კულტურა არ არის კულტურა, კულტურის გარეშე კი — ცივილიზაცია ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულიც კი, მხოლოდ ბოროტებაა. ტექნიკური პროგრესი და მისგან შექმნილი ზეკომფორტი კი სულ ახალ ველურებს შობს, ახალ „ევრო-მოჯაჰედებს“, ზნეობრივად გულგრილებს, უცვლელი აიფონით ხელში, ყალბი ღიმილით სახეზე და გლობალისტური მისალმებით „Hi“ და შეფასებით „Cool“.

**...ზნეობის გარეშე კულტურა არ არის კულტურა, კულტურის გარეშე კი — ცივილიზაცია ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულიც კი, მხოლოდ ბოროტებაა. ტექნიკური პროგრესი და მისგან შექმნილი ზე-კომფორტი კი სულ ახალ ველურებს შობს, ახალ „ევრო-მოჯაჰედებს“, ზნეობრივად გულგრილებს, უცვლელი აიფონით ხელში, ყალბი ღიმილით სახეზე და გლობალისტური მისალმებით „Hi“ და შეფასებით „Cool“.**

## კულტურის მდგომარეობა საქართველოში

25 წელია, რაც თითქოს დავშორდით ბოლშევიკურ იმპერიას, ჩვენ დავშალეთ თუ სხვამ დაშალა ვერ გეტყვით, მაგრამ „ნეო-ბოლშევიზმში“ კი ამოვყავით თავი.

ის 90-იანი ბნელი წლები პურის რიგებისა, უშუქობისა და სამოქალაქო ომისა, ყველაზე მძიმედ კულტურაზე აისახა. იტყვით, სად ეცალა კულტურისთვის ამ საშინელ წლებში მთავრობასო, მაგრამ ეცალა და იწყო გადანაწილების

პროცესი. მაგალითად, კინოწარმოება სრულიად გაჩერდა, დაიწყო კინოთეატრების კორუფციული პრივატიზაცია და საწარმოო ბაზის გაყიდვა-გაძარცვა.

სხვა კულტურის დარგებიც დაინგრა და გავერანდა, ველურმა წეწვა-გლეჯისა და გამდიდრების სურვილმა ამ სფეროშიც გადაინაცვლა და ახლა უკვე „ნუვორიში შემოქმედები“ მოგვევლინნენ მაგალითებად. სახელმწიფო ქონების გადანაწილება მალე დამთავრდა, ქონებაც მალე გაიყიდა და აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა თაობა, რომელიც „ჯოს“! ყვირილით ესალმებოდა ახალ დროებას, მოკლებულია ელემენტარულ განათლებას, კულტურას და ღვთის ანაბარაა მიტოვებული ქუჩაში დაგლეჯილ ტრანსპარანტებთან და ხმაჩახლეჩილ მეგაფონებთან ერთად.

მაგრამ ცალკეული ადამიანები მაინც ახერხებდნენ ამ გაყინულ პრივატიზაციასგადარჩენილ დარბაზებში მაღალი კულტურის ნიმუშების შექმნას. უნდა აღინიშნოს, რომ არ გაჩერებულა ქართული კულტურის ფლაგმანი რუსთაველის თეატრი და ზუსტად ამ წლებში რობერტ სტურუამ შეძლო ახალი თაობის მსახიობებისა და რეჟისორების შემოკრება თეატრში.

აღმოჩნდა, რომ ეს თავისუფალი სივრცე, კულტურისგან სრულიად გაძარცული და გავერანებული ნელ-ნელა დაიკავა ახალგაზრდულმა ანდერგრაუნდმა, დაფინანსებისა და ხელისუფლების ზრუნვის გარეშე შეიქმნა ისეთი სივრცე, როგორიც იმ დროს პოპულარული „თეატრალური სარდაფი“ იყო. ამ ტენდენციას თავიდან ვერ ამჩნევდნენ, ნაძარცვით მოსუქებული ბანდიტი ხელოვან-ბიზნესმენები, შემდგომ პოპულარულობის ზრდამ შეაწუხა და ბრძოლაც დაუწყეს, შემოწმებებს და პოლიციის რეიდებს აგზავნიდნენ, მოსყიდვასაც ცდილობდნენ, მაგრამ მაშინ ამან არ გაჭრა და პროცესი გამოვიდა კონტროლიდან.

მალე ამ სრულიად უზნეო და კორუფციაში ჩაფლული ბანდიტების ელიტას „ვარდების რევოლუციამ“ ნაწილობრივ დააყრევინა ნაძარცვი, მაგრამ მალე ისევ გადაინაწილა და დაიწყო უკვე ახალი პროცესი.

ახლა ბოლშევიკური ჩამპალი იდეოლოგია უკვე „ნეო-ლიბერალურმა“ მოწინავე ტრენდმა ჩაანაცვლა, ახლა უკვე ამ ანდერგრაუნდის და ნონ-კონფორმისტების ნაწილი სიამოვნებით შეუერთდა ახალი ხელისუფლების წარმატებულ ტოპ-მენეჯერებს და შეიქმნა ახალი მთავრობის „კარის ხელოვან-ნუვორიშების ელიტარული რაზმი“. გაჩნდნენ ახალი დამრიგებელ-კურატორებიც, სოროსისა და სხვა ფონდებიდან მოვლენილნი და ისედაც მონგრეული კულტურისა და განათლების გაფარჩაკების ახალი ეტაპი დაიწყო, თან უკვე ახალ, ჯერ არნახულ, ლიბერალურ-ჭინკური იდეოლოგიის სამსახურში ჩადგა სრულიად კულტურის ეს უზნეო ლეგიონი.

კი ეხამუშებოდათ თითქოს, რასაც მოგვიწოდებენ ახალი კურატორები ცენტრიდან, მაგრამ მაინც დაუფიქრებლად აყვნენ ახალ დროებას და დაიწყეს გეგმაზომიერად ნგრევა „წარსულის რელიქტებისა“.

არც კი დავფიქრებულვართ, არც შეგვიფასებია, სად ვართ, გვინდა თუ არა ეს ახალი ხილი, მართალია, კუჭი გვეშლებოდა მისგან პერიოდულად, მაგრამ მედგრად ვიკვებებოდით ამ მკვახე ნაყოფით.

ჯერ კიდევ „ოდეს-ტურფას“ მმართველობისას დაწინაურებულმა ერთმა ძლევამოსილმა „კულტურ-მენეჯერმა“ გადაწყვიტა ქართული კულტურის ახალ რელსებზე გადაწყობა და მრავალი ნოვატორული იდეა გვტყორცნა, საბაზრო ეკონომიკისთვის დაექვემდებარებინა კულტურის განვითარება და „გლობალური არტ-ბაზრის“ ოკეანეში გადაესროლა ქართული კულტურის ისედაც გახვრეტილი ნავი.

ბაზარი დაარეგულირებს ყველაფერსო, გაიძახოდა წარმატებული „კულტურ-მენეჯერი“ და იმით გვანუგეშებდა; ბაზარმა იცის ყველაფერი და ჩვენ ნუ შევაწუხებთ, ნუ ჩავერევით, ვინც გადარჩება ბაზრის აღელვებულ ტალღებში, ის გახდება „წარმატებული არტ-მენეჯერი“ და შესაბამის დიდებასა და ჯამაგირსაც უფალი ბაზარი მისცემსო. მართალია, უფალმა ბაზარმა უცნაური გემოვნება გამოავლინა და მხოლოდ „ოდეს-ტურფას“ მხარდამჭერები გამორიყა შეპირებულ სამოთხის კუნძულზე.

**მსოფლიო კულტურა ბაზრის კონიუნქტურის მიხედვით რომ განვითარებულიყო, ახლა მსოფლიოში არც კლასიკური მუსიკა და არც თეატრი, არც ფერწერა და არც მწერლობა იარსებებდა, მაგრამ ბატონ მინისტრს ამის მყარად სწამდა და ვერავინ გადაარწმუნებდა ბაზრის სიდიადეში.**

თუ იყიდება, კარგია, თუ არ იყიდება, უნდა მოკვდესო, ამას ქადაგებდა ნეოლიბერალური ბიბლია და ვერაფერს გააწყობდი მოკვდავი კაცი ამ დიდი შთაგონებული ჭეშმარიტების წინააღმდეგ.

საგულისხმოა, რომ ეს საბაზრო ეკონომიკის აპოლოგეტები, უწინ ყოფილი კომუნისტური რეჟიმის ჩინოვნიკების შვილები იყვნენ, რომელთაც მოახერხეს „ევროპული განათლების“ მიღება „პერესტროიკის“ წლებში და შემდგომ სოროსის და სხვა დასავლური ფონდების დაფინანსებასაც იღებდნენ უხვად.

ამ პერიოდის „კულტურის პოლიტიკამ“ მართლაც ყველაზე კარგად მოახერხა ისედაც დაუძლურებული და დაჩაჩანაკებული ქართული კულტურის სრულიად დანგრევა! უბრალოდ, ამ ნანგრევებზე სულ სხვა ახალი ხილი აღმოცენდა, რომელსაც კულტურასთან არაფერი საერთო არა აქვს.

შეიქმნა სრულიად ახალი სტრუქტურა — ერთგვარი „გართობის სამინისტრო“ და კვლევა განათლება,ზნეობრივი შემადგენელი გამოირიცხა კულტურის სამინისტროს ზრუნვის სივრციდან. ამ ტენდენციების გამოვლინების ნათელი მაგალითებია „ბაგრატის რესტავრაცია“ და საყდრისის ნგრევა, ასევე ჯერ არნახული „პოპ-დივების“ წარმატებული ხალხმრავალი მდარე ხარისხის და გემოვნების მეგა-შოუები...

სამწუხაროდ, ახლაც მედგრად გრძელდება ეს ტენდენცია, საყდრისის ნგრევა უკვე შემდეგ ხელისუფლებაში წარმატებით გადმოიბარა და დაასრულა ახალმა მინისტრმა და უდიდესი მეგაპროექტი „ჩექინ-ჯორჯიაც“ ახლა გაიფურჩქნა.

**ამ დიდების ფონზე, სავალალო მდგომარეობაშია მუზეუმები, კინოთეატრები პრაქტიკულად აღარ არსებობს, ბიბლიოთეკები თითქმის სულ გაიყიდა, რეგიონების თეატრების მდგომარეობა უმძიმესია, კულტურის სახლები ან დანგრეულია, ან ისეთი გავერანებული, რომ იქ რამის ჩატარება შეუძლებელია, რეგიონები იცლება ახალგაზრდობისგან და ერთ-ერთი მიზეზი კულტურის სფეროს არარსებობაც არის.**

ეს ყველაფერი იმ ფონზე ხდება, როდესაც რამდენიმე უცხოელი პოპ-ვარსკვლავის ვიზიტზე ათეულობით მილიონი ლარი იხარჯება.

ალბათ, ამით საქართველოს კულტურის სამინისტრო ხელს უწყობს დასავლური შოუ-ბიზნესის განვითარებას!

**კულტურაში დასაქმებულების ჯამაგირი კი კერძო ბიზნესში დასაქმებული დამლაგებლის ხელფასზე მცირეა. ველური, საბაზრო-კორუმპირებული კულტურის პოლიტიკა წარმატებით გრძელდება.**

**მდგომარეობა ძალიან სავალალოა, ცვლილებები არ მოჩანს ჰორიზონტზე, მაგრამ მე მაინც მაქვს იმედი, იმედი იმ ცვლილებებისა, რომელიც მსოფლიოში მოხდა სულ რამდენიმე ხნის წინათ, ნეოლიბერალური ტრენდი იქ დამთავრდა, მგონი, ჩვენც რაღაც გავიგეთ ამ 25 წლის პერიპეტიებში და იქნებ, ჩვენც დავფიქრდეთ და რამე შევცვალოთ ჩვენს უაზრო ყოფაში, ან ჩვენ თუ ვერ შევცვლით, იქნებ იქიდან ახალი კურატორები გამოგზავნონ უკვე სხვა მოთხოვნებითა და იდეებით.**

**მოკლედ, ვართ ასე რაღაცის მოლოდინში...**

**ერთ-ერთი უძველესი კულტურის მქონე ერი კი სულს ღაფავს ჩვენს თვალწინ.**

**შოთა გლურჯიძე**

# ჩაიკარგება თუ არა ხელოვნების დარგები განათლების დიდ ოკეანეში?!

**განათლებისა და კულტურის სამინისტროების შერწყმამ ყველაზე მეტი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამ ინიციატივას თვით მმართველ გუნდშიც ეჭვის თვალით უყურებენ. უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია, რომლის აზრითაც, კულტურა გერის როლში არ უნდა იყოს, მიიჩნევს, რომ განათლებისა და კულტურის სამინისტროების შერწყმა სახიფათოა.** მით უფრო, რომ კულტურის სამინისტრო ერთადერთი სამინისტროა, სადაც ეროვნული იდენტობის გამომხატველი დარგი ხელოვნებაა. შერწყმის შედეგად კი ხელოვნების დარგები დიდ ოკეანეში ჩაიკარგება.



მხატვარი **გია ბუღაძე** განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების შერწყმაში უარყოფითს ხედავს და მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას განათლებული ადამიანები ხელს უშლიან. ბუღაძის თქმით, შეერთებას ძალზე ცუდი შედეგი მოჰყვება და ამაზე უარესს იგი ვერაფერს წარმოიდგენდა.

ამავე ტონალობაშია რეჟისორ **ქეთი დოლიძის** განცხადებაც, ორი სამინისტროს გაერთიანებას იგი კულტურის დაღუპვად მოიაზრებს.

ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი **ჯემალ ჭკუასელი** აცხადებს, რომ განათლებისა და კულტურის სამინისტროების შერწყმას პოლიტიკურ ასპექტში ვერ შეაფასებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროს აუცილებლად სჭირდება. მისი აზრით, დიდ ქვეყანას — ამერიკას სულაც არ სჭირდება კულტურის სამინისტრო, ამერიკა მაინც გააცნობს თავს მსოფლიოს, ჩვენ კი უნდა გავიხსენოთ, რა სახელები წარმოაჩენდნენ ჩვენს კულტურას — მერაბ ბერძენიშვილი, ჯანო კახიძე და სხვები. ამ გარდაცვლილ ადამიანებს არა მარტო პატივი უნდა მივაგოთ, არამედ ამ ხალხის მშობელ ერს კულტურის სამინისტრო უნდა ჰქონდეს.

„მე არ ვიცი, როგორ შეაფასებს კულტურის სამინისტროს როლს ეს ახალგაზრდა კაცი — მამუკა ბახტაძე, როგორ წაიყვანს საქმეს, მაგრამ კულტურის სამინისტროს გაუქმება არ არის კარგი საქმე. ფაქტობრივად, სამინისტროების შერწყმა იგივე გაუქმებაა და უკან გადადგმული ნაბიჯია.

პირადად მე კულტურის სამინისტროსთან ნაკლები შეხება მაქვს, ჩვენ მაინც უცხოეთში დამოუკიდებლად გავდივართ ჩვენივე მიწვევით და ამ საქმეში დამოუკიდებლები ვართ, მაგრამ ეს სამინისტრო დასაკნინებელი არ არის. თუ ამ სამინისტროში მომუშავე ადამიანები არაფერს აკეთებდნენ, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, მაშინ შევამცირებდი იმ ადამიანებს და დავტოვებდი საქმის გამკეთებლებს. 10 კაციც რომ მუშაობდეს, კულტურის სამინისტრო მაინც კულტურის სამინისტროა. არ ვიცი, რა რაოდენობამდე უნდა დაიყვანონ თანამშრომლები, ეს თვითონვე იციან ამ უწყების შიგნით, მაგრამ ესეც საფიქრალია, მოვკლათ ეს ადამიანები შიმშილით და გავუშვათ სამსახურიდან?!“ — ამბობს ჯემალ ჭკუასელი და ბიუროკრატიაზე თანხების დაზოგვას სხვა ადამიანების სამსახურიდან გაყრის ხარჯზე არ ეთანხმება.

„ხალხი ცოდოა, მე იმხელა ხელფასი მაქვს და ძალიან ხშირად ხანდახან იმის ფულიც არ მაქვს, საწვავი ჩავასხა მანქანაში“.

მწერალი და მსახიობი **გივი სიხარულიძე** სპორტის სამინისტროზე ვერაფერს ამბობს, მაგრამ ფიქრობს, რომ განათლებისა და კულტურის სამინისტროების გაერთიანებით, სავარაუდოდ, არაფერი დაშავდება, რომ განათლება და კულტურა, პრინციპში, მაინც ერთი ხედვაა, ერთი სფეროა, რაც ძალიან ავსებს და ალამაზებს ერთმანეთს, რადგან კულტურული ადამიანი ძალზე განათლებულიც უნდა იყოს.

„გაერთიანებას მივესალმები მაშინ, თუ გაერთიანებით არც კულტურის სფერო დაიჩაგრება და არც განათლებისა, გაერთიანება უბრალო თანამშრომელთა დათხოვნის ხარჯზე არ მოხდება. ხოლო, თუკი ამით დაითრგუნებიან უბრალო თანამშრომლები და დაიწყება ადამიანების მასობრივად სახლში გაშვება, მაშინ ამ ნაბიჯის გადადგმა დაუშვებელია. ისე კი, რა მოხდება იმით, თუნდაც კულტურის მინისტრის მოადგილე შეკვეცის შედეგად გახდეს დეპარტამენტის თავმჯდომარე საერთო სამინისტროში? ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, ახლა უზომოდ გაბერილი ბიუროკრატიული კადრებია, რაც შეიკვეცება“, — ამბობს გივი სიხარულიძე.

**მოამზადა**
**მანანა ნოზაძემ**

# მერიამ ახალი ავტობუსები ისევ ვერ იყიდა!

**თბილისისთვის ახალი ავტობუსების შეძენა ისევ გადავადდა. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე ერთადერთი კომპანია — „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“ დისკვალიფიცირდა. შესაბამისად, მერიას ახალი ავტობუსების შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადება კიდევ ერთხელ მოუწევს.**

ცნობისათვის: თბილისის მერიამ მუნიციპალური მომსახურებისათვის საჭირო საზოგადოებრივი ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე თავიდან 2018 წლის 24 მაისს გამოაცხადა. წინადადებების მიღება 2 ივნისს დაიწყო და 5 ივნისს დასრულდა.





# რატომ დააფრთხო თბილისის სვლამ სოხუმი და ცხინვალი?

## ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია „მუშაობს“

**სოხუმსა და ცხინვალში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ოთხოზორია-ტატუნაშვილის 33-კაციანმა სიამ, რომლის ფიგურანტებზეც საერთაშორისო სანქციები უნდა დაწესდეს. აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო რესპუბლიკებში უკვე ალაპარაკდნენ კონტრსიების შექმნის შესახებაც. 27 ივნისს გალის შეხვედრის ჩაშლამ და ოფიციალურმა განცხადებებმა აჩვენა, რომ შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს სამშვიდობო მოლაპარაკებების გაგრძელების საკითხიც და ბევრისთვის ნათელია, რომ სოხუმისა და ცხინვალის მწვავე რეაქცია მოსკოვის მწვავე რეაქციას ნიშნავს. რას შეიძლება გამოეწვია საოკუპაციო რეჟიმის ასეთი გაღიზიანება ამ შემთხვევაში, მაშინ როცა თბილისის ქმედებებს ისინი ძირითადად გულგრილად ხვდებიან?**

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე ვლადიმირ არლანი გალის შეხვედრის ჩაშლას ქართულ მხარეს აბრალებს, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დატოვეს. სოხუმი ვერ ეგუება იმ აზრს, რომ ქართული მხარე არ აპირებს დღის წესრიგიდან მოხსნას გიგა ოთხოზორიას მკვლელის დასჯის საკითხი. გაღიზიანების მთავარი მიზეზი „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ გამოქვეყნებას უკავშირდება.

ვლადიმირ არლანი ამბობს, რომ ოთხოზორიას საკითხი სოხუმისთვის დახურულია, რადგან **ქართულმა მხარემ მათ ვერ მიაწოდა გიგა ოთხოზორიას მკვლელის ადეკვატური დასჯისთვის აუცილებელი სრულყოფილი დოკუმენტაცია. არადა, 2016 წლის 19 მაისს რაშიდ კანჯი-ოღლის მიერ ჩადენილი დანაშაული სათვალთვალო კამერის ჩანაწერზეც ნათლად არის ასახული.**

გალის შეხვედრების გაგრძელების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მეტიც, **თუკი აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს 26 ივნისის განცხადებით ვიმსჯელებთ, საფრთხე ექმნება ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებსაც.** „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შემუშავების გამო სოხუმმა მწვავე რეაქცია გამოხატა და პროვოკაციულ ქმედებაში დაადანაშაულა საქართველოს მთავრობა და პირადად პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე. ითქვა, რომ თბილისის ამ სვლამ შესაძლოა დაანგრიოს ჟენევის მოლაპარაკებების პროცესი. პარალელურად, როგორც აფხაზეთის, ასევე სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში ალაპარაკდნენ კონტრსიების შექმნის აუცილებლობაზე. **თუკი აფხაზეთში ეს იდეა ჯერ მხოლოდ საზოგადოების დონეზე, სოციალურ ქსელებში გახმაურდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ ამაზე ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი. დიმიტრი მედოევი ალაპარაკდა კონტრსიების საკითხს გულგრილად უყურებენ თბილისში.**

თვითონ იმ ფაქტს, რომ, პარლამენტის მიერ 21 მარტს დამტკიცებული რეზოლუციის თანახმად, „ოთხოზორია-ტატუნაშვილის“ სიის შედგენა და მისი ფიგურანტებისთვის საერთაშორისო სანქციების დაწესება დაიგეგმა, უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნევს „მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტი – საქართველოს“ ხელმძღვანელი ლევან გერაძე. მისთვის ცხადია, რომ სოხუმისა და ცხინვალის მწვავე რეაქციები მოსკოვის მწვავე რეაქციების გამოვლინებაა და ეს ყველაფერი საერთაშორისო სარბიელზე მომხდარ თუ მოსალოდნელ პროცესებს უკავშირდება.

როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიციური ფლანგი საქართველოში პირობას დებს, რომ განაგრძობენ აქტიურ მუშაობას საერთაშორისო პარტნიორებთან იმისათვის, რომ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ ყველა ფიგურანტს ადეკვატური სანქციები დაუწესდეს. ამ სიამ უკვე მიიპყრო გარკვეული ყურადღება და ამაზე მეტყველებს როგორც ევროპარლამენტის რეზოლუციის ტექსტი, ასევე აშშ-ის კონგრესში ინიცირებული ორპარტიული კანონპროექტი. ამ სიის მნიშვნელობა და ამოქმედების აუცილებლობა ორივე დოკუმენტშია ხაზგასმული.

**„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიამ“, რომელმაც ასე გააღიზიანა სოხუმი და ცხინვალი, ბევრს არც თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოეწონა. ფაქტია, რომ სიაში ვხვდებით გარდაცვლილ ადამიანებს და არ ვხვდებით მათ, ვინც მართლაც დამნაშავეა საქართველოს მოქალაქეების მკვლელობაში, წამებასა თუ გატაცებაში. თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა არ არის, რადგან სიის შემადგენლობა მუდმივად განახლდება.**

ლელა კუნჭულია

---



# გაზრდილი კრიმინალი პირდაპირ დაარტყამს ქვეყნის ტურისტულ იმიჯს

საქართველოში ტურიზმი იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ყოველ წელს საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნულს ციფრებიც ადასტურებს:

**2015 – 6 მლნ. 305 ათას 635;**
**2016 – 6 მლნ. 719 ათას 975;**
**2017 – 7 მლნ. 902 ათას 509;**
**2018 (5 თვე) – 2 მლნ. 834 ათას 574 (რაც 13,6%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით).**

გარდა სტატისტიკური მონაცემებისა, ტურიზმი რომ ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამაზე ყურადღებას ხელისუფლებაც მუდმივად ამახვილებს. ფაქტია ისიც, რომ დარგის განვითარებისთვის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არაერთი პროექტი განხორციელდა და პროცესები დღესაც მიმდინარეობს.

**თუმცა ფაქტია ისიც, რომ საქართველოში ტურიზმის მსგავსად მზარდია კრიმინალიც. ეს უკანასკნელი კი ყველაფერთან ერთად ნეგატიურად აისახება როგორც ადგილობრივებზე, ასევე საერთაშორისო მოგზაურებზეც. როგორც დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, თუ ქვეყანაში კრიმინალი არ შემცირდება, საშუალოვადიან პერსპექტივაში ეს პირდაპირ დაარტყამს ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტსაც!..**

**ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარის ნატა კვაჭანტირაძის განმარტებით,** ქვეყანაში ჩამომსვლელებისთვის ტარდება არაერთი ღონისძიება, სადაც უცხოელები ეცნობიან ინფორმაციას საქართველოში არსებული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ. ბოლო დროს განვითარებული კონკრეტული მოვლენები კი სრულად ეწინააღმდეგება იმ ინფორმაციას, რასაც ტურისტული სააგენტოები თუ ორგანიზაციები ვიზიტორებს აწვდიან. მაგალითად, ორი დღის წინ, ისნის რაიონში ირანის ორი მოქალაქე სცემეს; ასევე კარგად გვახსოვს სათამაშო მოედანზე ადგილობრივ და ნიგერიელ ახალგაზრდებს შორის მომხდარი უთანხმოების შედეგებიც და ზოგადად უცხოელის მიმართ ძალადობრივი ფაქტი მედიის საშუალებით საკმაოდ ხშირად ვრცელდება.

რაც შეეხება უშუალოდ კრიმინალის ვითარებას საქართველოში, ციფრები ასე გამოიყურება:

საქსტატის მონაცემებში 2012-2014 წლის დანაშაულებრივი სტატისტიკა არ მოიძიება!!!

**2015 წელს აღრიცხულია – 35 096 სისხლის სამართლის დანაშაული;**
**2016 წელს – 35 997 სისხლის სამართლის დანაშაული;**
**2017 წელს – 37 944 კრიმინალური ფაქტი;**
**2018 წლის 4 თვეში კი უკვე რეგისტრირებულია 19 589 შემთხვევა;**

როგორც ნატა კვაჭანტირაძე ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, სხვადასხვა სახის დარღვევა ძირითადად ხდება იმ ტურისტის მიმართ, რომელიც ინდივიდუალურად მოგზაურობს ყოველგვარი სააგენტოს დახმარების გარეშე. შესაბამისად, მას უწევს როგორც გამომძალველ ტაქსის მძღოლთან ურთიერთობა, ასევე ის შესაძლოა, გახდეს რასიზმის მსხვერპლიც.

საქართველოს, როგორც ტურისტულ ქვეყანას, საფრთხე რომ არ დაემუქროს, გაზრდილი კრიმინალის შემცირების გარდა, დარგის სპეციალისტები კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას. საუბარია, ტურისტის მიმართ სხვადასხვა მომსახურებაზე მუდმივად გაზრდილ-გაბერილ ფასებზე. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ თბილისის აეროპორტში ჩამოსულმა ტურისტმა ტაქსის მძღოლს შავი ზღვის სანაპიროზე წაყვანა სთხოვა. მძღოლმა კი მგზავრი თბილისის ზღვასთან დატოვა და 200 აშშ დოლარი გამოართვა. ასეთი ფაქტი იმდენად ხშირია, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში ქვეყანაში უკვე ნამყოფი ტურისტებიც კი ხშირად წერენ და აფრთხილებენ ჩვენს ქვეყანაში მომავალ მოგზაურებს.

**„კრიმინალის გარდა, ესეც საკმაოდ დიდი პრობლემაა, რომელიც პირდაპირ ურტყამს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას. გამომძალველი ტაქსის მძღოლების გარდა, მსგავსი ფაქტი ხშირია არაბრენდირებულ მაღაზიებში, ტურისტულად ღირშესანიშნავი ადგილების დათვალიერების გადასახადის დროს და ა.შ. ვფიქრობ, არც ერთი ასეთი შემთხვევა დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. მაგალითად, დაუყოვნებლივ გახმაურდეს იმ ტაქსის მძღოლის ვინაობა, ვინც ასე ითაღლითა, რათა გაუჭირდეს საქმიანობა. როცა ევროპიდან 25 ევროდან ქუთაისში ჩამოფრინდები და ამ დროს ტაქსის მძღოლი გთხოვს ქუთაისიდან ბათუმამდე 50 ევროს, ეს ფაქტი ძალიან ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს“,** –განმარტავს ლია მუხაშავრია.

სალომე ლემონჯავა

---

# ჩატაევის ხმოვანი გზავნილი ISIS-ის ლიდერს?

გაზეთი „კვირის პალიტრა“ ხმოვან გზავნილს ასაჯაროებს, რომელიც გამოცემის მტკიცებით, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე ლიკვიდირებული ახმედ ჩატაევმა ISIS-ის ერთ-ერთ ლიდერს აბუ ჯიჰადს, იგივე ისლამ ატაბიევს გაუგზავნა.

„რაც საჭიროა, გავაკეთეთ ძმაო. მე უკვე აქ ვარ, სტამბოლში, ყველაფერი გავაკეთე – ფოტოები, სურათები, გადაღებები. ალბათ უკვე ხვალ ანკარაში დავიწყებთ კეთებას... ანკარასა და ანტალიაში... მერე ვნახოთ. ეს არის საელჩო ძმაო... კიდევ ძმები შეათვალიერებენ ასეთ ადგილებს, საელჩოებს, ძლიერადაა დაცული, მაგრამ ფოტოებსა და ვიდეოებშიც ნახავ, ძმაო. ჩვენ ისეთი ადგილები უნდა მოვძებნოთ, რესტორნები, სადაც ისინი იკრიბებიან, ასეთი ადგილები არის. ყველაფერი იმიტომ, რომ ზამთარია... მოკლედ, თუ რამეა, საქართველოშიც გავაკეთებთ. ეს საერთოდ აქვეა ძმაო. ვიცი, სიცხე უფრო მეტად თუ იქნება... საქართველო... თურქეთში... არ იქნება ამერიკელებით სავსე სასტუმროები. ვიდეოები...იქიდან... ეს ჯერჯერობით ჩვენს შორის დარჩეს. ძმები უსაქმოდ რომ არ იყვნენ... ჩვენ იქ გვყავს ძმები... იმათაც გადაიღონ ფოტოები, ვიდეოები და აგიხსნიან იქიდან. მე რაც მითხრეს, აქ მე ვათვალიერებ რესტორნებსაც, ამასაც, იმასაც და საელჩოები... ანკარაში, ანტალიასა და სტამბოლში, ყველგან ვიქნები. გაკეთებით ერთი უკვე გავაკეთე... აქ მე დავამთავრე, მაგრამ რაღაც წერტილები ვერ ვიპოვე... ძმები ათვალიერებენ ყველაფერს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მზად ვიქნებით, როგორც კი მზად იქნება, გამოგიგზავნი...“, – ამბობს აუდიოჩანაწერში სავარაუდოდ ახმედ ჩატაევი.



მუნდიალი – 2018

# დიდება მინას თავს!

**ერინ მინა, მართალია, განვლილ სეზონში „ბარსელონაში“ ჩაირიცხა, მაგრამ პიკე-უმტიტის წყვილთან კონკურენციას ვერ გაუძლო და ძირითადად სათადარიგოთა სკამს „ხედავდა“.**

სამაგიეროდ, ეს გიგანტური აღნაგობის ცენტრალური მცველი ეროვნულ ნაკრებში შეუცვლელი ფიგურაა და სწორედ მის თავს უკავშირდება კოლუმბიელთა გამარჯვებები რუსეთში მიმდინარე მუნდიალზე და პლეი-ოფში გასვლა. ჯგუფური რაუნდის გადამწყვეტი ბრძოლა სამხრეთამერიკელებმა სენეგალს მოუგეს – 1:0 და მინამ ამჯერადაც მეორე სართულიდან დალაშქრა მეტოქის კარი.

ხმაურიანად გაიჯახუნა კარი მოულოდნელად შერცხვენილმა პოლონეთმა, რომელმაც იაპონიას ასეთივე ანგარიშით სძლია. აზიელებს აღნიშნული მარცხი კინაღამ ძვირად დაუჯდათ, მაგრამ მერვედ-



ფინალში მაინც გააღწიეს, რადგან აფრიკელებთან შედარებით ნაკლები ყვითელი ბარათი აღმოაჩნდათ (იაპონიასა და სენეგალს ყველა სხვა მაჩვენებელი თანაბარი დაუგროვდათ და ერთმანეთთანაც ფრედ ითამაშეს – 2:2).

როგორც მოგეხსენებათ, ინგლისმა და ბელგიამ ვადამდე გაინაღდეს პლეი-ოფში თამაში, ამიტომ თავს უფლება მისცეს, საქმეში რეზერვისტები გამოეცადათ. იანუზაის მარჯვედ მოქნეულმა ცაციამ გამარჯვება და კვარტეტში პირველობა ბენილუქსელებს მოუტანა – 1:0, აუტსაიდერთა – ტუნისელთა და პანამელთა უმოტივაციო მატჩი კი შავი კონტინენტის წარმომადგენლებმა მოიგეს – 2:1.

**დღეს მერვედფინალში ითამაშებენ:**

არგენტინა – საფრანგეთი (18 საათზე) და ურუგვაი-პორტუგალია (22 საათზე).

**გიორგი შოთაძე**

ვარსკვლავი

# რონალდუ შემცირებაში მოჰყვა

**მადრიდის „რეალმა“ კრიშტიანუ რონალდუს გამოსასყიდი თანხა შეამცირა.** Ok Diario-**ს ინფორმაციით, პორტუგალიელსა და „სამეფო კლუბს“ შორის აქამდე არსებული ხელშეკრულებით, მის მსურველ გუნდს 1 მილიარდი უნდა გაეღო, მაგრამ ამიერიდან საკმარისი იქნება 120 მილიონი ევროც.**



აღნიშნული სიახლის შემდეგ კიდევ უფრო რეალური გახდა ხმები, რომლის თანახმადაც, რონალდუ მიმდინარე ზაფხულს მადრიდულ გრანდს დატოვებს.

33 წლის ფეხბურთელს ამჟამად ყველაზე აქტიურად „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „პსჟ“-ს უკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ კრიშტიანუ ხელფასის სახით სეზონში 40 მილიონ ევროს ითხოვს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ლეგიონერი

# ჟვანია „უოსპსში“ ითამაშებს

**„ბორჯღალოსანმა“ ზურაბ ჟვანიამ ფრანგული „სტად ფრანსე“ დატოვა და კარიერას ინგლისის პრემიერშიფის ერთ-ერთ წამყვან კლუბ „უოსპსში“ გააგრძელებს.**

26 წლის მორაგბე პარიზში 2011 წელს წავიდა, ერთი წელი ესპუარებში გაატარა, 2012 წლის 18 აგვისტოს კი პირველ გუნდში ჰქონდა დებიუტი. განვლილ 6 წელიწადში ზურამ ტოპ 14-ის 64 მატჩში 4 ლელო გაიტანა, ჩემპიონთა თასის 5 შეხვედრაში თავი ერთხელ გამოიჩინა, ხოლო ჩელენჯ ქაფზე 32-ჯერ ითამაშა და 3 ლელო მიითვალა.

ჟვანია „სტად ფრანსესთან“ ერთად 2015 წელს საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო 2017 – წელს ჩელენჯ ქაფის მფლობელი. გასულ სეზონში გუნდი ტოპ 14-ში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა და მხოლოდ მე-12 ადგილი დაიკავა, რასაც სამწვრთნელო შტაბში ცვლილებები მოჰყვა და ქართველმა ბურჯმაც დიდი ხნის ჩანაფიქრი – გუნდის გამოცვლა, რეალობად აქცია.



**„სტად ფრანსესთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წელი მაკავშირებდა. გაისად მსოფლიო თასი გველოდება და მსურდა, რომ ამ პერიოდისთვის კლუბთან დაკავშირებული საკითხი მოგვარებული მქონოდა, ანუ ისეთი გუნდი მეპოვა, ვისთანაც მინიმუმ 2-წლიან კონტრაქტს გავაფორმებდი. პარიზელებმა კონტრაქტის გახანგრძლივებისგან თავი შეიკავეს და შეთანხმების საფუძველზე, მათთან თანამშრომლობა შევწყვიტე.**

**მოლაპარაკება ჩემი ინიციატივით დაიწყო, რადგან მსურდა, მეტი სათამაშო დრო მქონოდა. გუნდის შეცვლის სურვილი მქონდა, რადგან 7 წელი იქ გავატარე და მთელი ეს პერიოდი მეორე-მესამე ნომრად განმიხილავდნენ, თუმცა, როცა მოედანზე გავდიოდი, თამაშს არასდროს ვაგდებდი. შესაძლოა, ეს კლუბში მომხდარ ცვლილებებსაც უკავშირდებოდეს. მთლიანად შეიცვალა გუნდის სამწვრთნელო შტაბი, ისინი არ მიცნობდნენ და არ გამკვირვებია, კონტრაქტის გახანგრძლივება, რომ არ ისურვეს“,** – ამბობს ჟვანია აწ უკვე თავის ყოფილ კლუბზე.

**კობა კობახიძე**

გურამ აბაშიძე – 85

# მოგონება მარადის ჩემში რჩება



**ქართული კალათბურთის რაინდი გურამ აბაშიძე დაიბადა თბილისში 1933 წლის 3 ივლისს. ჩვენი „აპოლონა“ – ასე იცნობენ ბატონ გურამს კალათბურთის მოყვარულები. ლეგენდარული კალათბურთელების მიხეილ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ლევან ინწკირველის, შოთა ქორქაშვილის გვერდით გამოჩნდნენ დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდები: გურამ მინაშვილი, გურამ აბაშიძე, ილო მირიანაშვილი, გურამ კუჭავა, მამია კვაჭანტირაძე, ვაჟა გვანცელაძე...**

თბილისის „დინამოში“ ზონური თავდაცვა პირველად ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას თაოსნობით დაინერგა. ეს ტაქტიკა ერწყმოდა მეტოქის ინდივიდუალურ მეურვეობას, სისტემატური ვარჯიშით მდიდრდებოდა ახალ-ახალი ელემენტებით და საკმაოდ საიმედოდ ბლოკავდა მოწინააღმდეგის შეტევებს.

1959 წლის მსოფლიო პირველობაზე ჩილეში საბჭოთა ნაკრებს სტეფან სპანდარიანი წვრთნიდა. ნაკრებში ორი ქართველი – გურამ მინაშვილი და გურამ აბაშიძე მიიწვიეს.
რთულ მატჩში ბრაზილიასთან საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა (73:64).

გურამ მინაშვილი თავის წიგნში „40 წუთი და მთელი ცხოვრება“ წერდა: **„ოფლში გაწურული საშხაპეში შევედი და რას ვხედავ, გურამ აბაშიძეს წიხლქვეშ ჰყავს გაგდებული ოლეგ კუტუზოვი. რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ სცენას – ქართველმა სცემა რუსი, თანაც კუტუზოვი! მივეჭერი და ჩვენი „აპოლონა“ კუტუზოვს გამოვაცალე“.**

მთავარ მწვრთნელს სტეფან სპანდარიანს გურამ აბაშიძესთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდა. ალბათ, ეს იყო მიზეზი მწვრთნელების გადაწყვეტილებისა, რათა მომხდარი უსიამოვნება გუნდშივე დარჩენილიყო. მით უმეტეს, რუსი თანაგუნდელებიც დაეხმარნენ „აპოლონას“. მაგალითად, მოსკოვის დინამოელი ვიქტორ ზუბკოვი, ხოლო ვლადიმერ ტორბანმა გვარიანად უთავაზა კუტუზოვს.

გურამ მინაშვილის შეკითხვაზე, რა იყო ცემის მიზეზი – შენ შეგაგინაო, იყო გურამ აბაშიძის პასუხი.

1959 წელს მოსკოვში გამართულ ხალხთა სპარტაკიადაზე ბოლოს წინა ტურში ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ლატვიის გუნდს ლუჟნიკების „მალაია არენაზე“ საქართველოს ნაკრები დაუპირისპირდა. ლატვიის ნაკრების კაპიტანი ლეგენდარული იანის კრუმინში გახლდათ (218 სმ).

სათადარიგო რესურსების ამოწურვის შემდეგ, დამატებით დროში, მატჩის დასრულება ხუთკაციან ლატვიასთან სამ ქართველს მოუწია.

სწორედ იმ წუთებში „ლუჟნიკების“ მთავარ მოედანზე დასრულდა საფეხბურთო მატჩი და მაყურებლებში გავრცელდა ხმა უთანასწორო ბრძოლის შესახებ. გულშემატკივრებმა ფეხბურთიდან კალათბურთის „მალაია არენაზე“ გადაინაცვლეს.



საბჭოთა კავშირის ნაკრები: მარცხნიდან მეორე – გურამ აბაშიძე.

სამმა ქართველმა – გურამ აბაშიძემ, ვალერი ალთაბაევმა და თამაზ კაკაურიძემ დაამარცხეს ლატვიის ხუთკაციანი ნაკრები (88:84).

ეს იყო დღესასწაული, რომელიც სამარადისოდ დარჩება.

ერთხელ ჩვენს ერთ-ერთ მეგობარს, რომელიც ბატონი გურამის თანატოლია, ვკითხეთ, რამდენი წლისა იყო. გვიპასუხა – 58 წლისაო. ხუმრობაგაშვებით შეიძლება ითქვას, რომ ბატონ გურამსაც შებრუნებული აქვს თავისი წლოვანება და ვერავინ იტყვის, რომ 58 წელზე მეტის არისო.

**თამაზ შენგელია**

ინტერნეტიდან

# ფლანდრიული სილამაზე



**მიმდინარე საფეხბურთო მუნდიალზე ბელგიის ნაკრები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა და ამ წარმატების დასაფასებლად და აღსანიშნავად წარმოგიდგენთ იქაურ მოდელთა შორის ერთ-ერთ ულამაზესსა და უსათუთესს – ჯენა პეიჟის, რომელიც ფლანდრიის ცის კაბადონზე სულ რაღაც 3 წლის წინათ გამოჩნდა.**

ჯენა პეიჟი მისი სხვა მრავალი კოლეგისგან განსხვავებით, არ დახარბებია მსუყე კონტრაქტებს და სამოღვაწეო ალაგად პარიზი, მადრიდი, რომი ან მილანი არ აურჩევია. ამ დიდებულ ასულს საასპარეზოდ და საგოგმანოდ ბრიუსელიც შესანიშნავად ყოფნის და წარმატებას საკუთარ ქვეყანაში რომ სულ სხვა გემო აქვს – ეს პეიჟის ქალმა, როგორც ჩანს, კარგად იცის.

მაშინ, როდესაც ბელგიელი ფეხბურთელები ინგლისის ნაკრებს უგებდნენ, ჯენა პეიჟი საბერძნეთში, ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე იყო წამოდრანგული და მზეს ეფიცხებოდა. თუკი ვინმეს ჰგონია, რომ მომხიბვლელი მოდელები არ იღლებიან და მათ დასვენება არ სჭირდებათ – ნამეტანი შემცდარან...

**როსტომ რაჭველიშვილი**

**მირონ ხერგიანზე უნდა გესაუბროთ, ბატონებო, მწერალზე, რომელმაც უამრავ ჭირსახდელს გაუძლო, სანამ ქართულ მწერლობაში შემოაბიჯებდა და იქ დაიმკვიდრებდა თავის ადგილს.**

ეს თავმდაბალი შემოქმედი კაცი მწერლობაში სვანეთიდან მოვიდა, საქართველოს ამ უმშვენიერესი და, ამავდროულად, უმკაცრესი კუთხიდან და თან მოიყოლა მშობლიური მურყვამების და მაჩუბების სიმტკიცე და ხიბლი, სვანური მთების სიდიადისა და ნათელის განცდა, განცდა ყოველივე იმისა, რაც ასწლეულების განმავლობაში დარაჯად და მეციხოვნედ ედგა ზოგადქართულ სულიერებასა და ზნეობრიობას...

მირონ ხერგიანმა, სკოლის მერხიდანვე მოყოლებული, ხანგრძლივი, რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო. მისი პირველი ლექსი 1962 წელს გამოქვეყნდა ჩვენი დედაუნივერსიტეტის გაზეთში და უნდა ითქვას, რომ მირონ ხერგიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ლომის წილი სწორედ უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა შეიტანა. აქ ჩამოიქნა მისი მწერლური და პიროვნული თვისებები, რომლებიც დღემდე მოჰყვება ამ ნიჭიერ შემოქმედს. ჯერ კიდევ სტუდენტმა მუშაობა დაიწყო ჟურნალ „პიონერის" რედაქციაში, ხოლო შემდგომში ჟურნალ „მნათობის" კრიტიკა-პუბლიცისტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

მართლაც რომ მშვენიერი პროზაიკოსია მირონ ხერგიანი. მის რომანებსა და მოთხრობების კრებულებში („პირველი ღამისთევა", „თეთრი სახურავები", „გადასასვლელი", ცხელი იანვარი", „ღრუბლები შენ გქონდეს", „ოქროსფერი რიყე", „დამრჩომნი" და სხვა) შესული ნაწარმოებების უმთავრეს ღირსებას დიდი ადამიანური სიმართლე წარმოადგენს. ავტორი წერს იმაზე, რაც ცხოვლად დასჩენია მის სულსა და გულს, რაც მისი საესავი სამშობლოს აწმყოსა და მომავალს სჭირდება, წერს ნათლად, ხატოვნად, მსუყე, ძარღვიანი ქართულით... მისი მხატვრული ნააზრევიდან არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ რომანი „კლდის ვეფხვი" — საგა სახელგანთქმულ მთამსვლელ მიხეილ ხერგიანზე, ლეგენდად რომ იქცა სრულიად საქართველოსთვის. ამ რომანმა არაერთ გამოცემას გაუძლო და ცალკე წიგნებადაც დაისტამბა ინგლისურ და რუსულ ენებზე. ამჟამად გამოსაცემად ჩაშვებულია მისი ახალი რომანი „ლილიტის მძევალი", რომელიც ახლახან გარდაცვლილი მისი ვაჟიშვილის — უნიჭიერესი გრაფიკოსი მხატვრის და შემოქმედის ხსოვნას ეძღვნება.

მირონ ხერგიანი ბრწყინვალე პუბლიცისტია, რისი დასტურიცაა მისი კრებულები: „სადამდე ივლის ქარავანი", „წინამურიდან ჩვენამდე", „დღეს ღამე უთენებია", „კარგ ყმად ვინა ვთქვათ", „წეროების პოლიგონი", „პირმზითნი," ასევე, სხვადასხვა დროს პრესაში მწვავე ეროვნული პრობლემატიკისადმი მიძღვნილი წერილები: „სვანეთის ატლანტიდა — ვის სჭირდება იგი?" „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს!" „მორიელების შემოსევა სამეგრელოსა და ზემო სვანეთში", „არული, არული კუდიანებსა!" „მონსტრების კორპორაცია" და სხვა მრავალი, რომლებშიც ქვეყნის სატკივრით გულგასენილი ერისკაცის ნააზრევია დაუნჯებული, ერისკაცისა, უშიშრად რომ უპირისპირდება არსებულ ნეგატივს და ჯიუტად ეძიებს სამშობლოს გადარჩენის გზებს.

მირონ ხერგიანმა ჩინებულად თარგმნა კიპრიან ეკვენსისა და ლეოპოლდ ზახერ-მაზოხის რომანები, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, დაღესტნელი, რუსი და ოსი მწერლების ნაწარმოებები, მისი კინოსცენარის მიხედვით შეიქმნა სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „უშბაზე ძლიერნი"...

ბატონი მირონი ერთდროულად ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეც გახლავთ. წლების მანძილზე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის კრიტიკა-პუბლიცისტიკის სექციის ბიუროს თავმჯდომარე. ომის წლებში მუშაობდა ჯერ სახელმწიფო მეთაურის მრჩევლად, ხოლო შემდგომი წლები — ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ.

ასეთია მირონ ხერგიანის, ხელხვავიანი და მრავალწახნაგოვანი შემოქმედის განვლილი ცხოვრებისეული გზა და რა სასიამოვნოა, რომ მისი მრავალწლიანი ღვწა მწერლურ თუ საზოგადოებრივ სარბიელზე ღირსეულად დაფასდა. 1984 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. საუკეთესო მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებისათვის სხვადასხვა დროს მოპოვებული აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიები (სამი პრემია). ასევე მინიჭებული აქვს ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. დაჯილდოებულია „საპატიო სიგელით" და მედლით „ქართული კულტურის ამაგდარი". 2002 წელს დაჯილდოვდა დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი — „ღირსების ორდენით."

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბატონი მირონ ხერგიანის სახელი დამსახურებულად არის შეტანილი „ქართულ ენციკლოპედიაში".

ჰყავს მეუღლე, შვილები და შვილთაშვილები.

გულდასაწყვეტია, რომ სიჭარმაგეში ფეხშედგმულ შემოქმედს ბედისწერამ დიდი განსაცდელი დაატეხა თავს, თუმცა ქართველი კაცის შეუპოვრობითა და ქედუხრელობით ებრძვის ტკივილებს, გულში ჩახვეულ დარდსა და ვაებას, არ ნებდება და არ იჩოქებს. სვანეთის მთები დღესაც ამაღლებენ, უხმობენ და ეძახიან თავის სისხლსა და ხორცს, მათ გარემოცვაში რომ ჩამოიქნა და ჩამოყალიბდა ქართული მიწის ერთგულ მეციხოვნედ. ზემოთქმული სიტყვები ყასიდად ნათქვამი არ გახლავთ: იგი მართლაც მეციხოვნეთა — ხერგიანთა მოდგმის ღირსეული წარმომადგენელია, რომლის ხანდაზმულობაზეც დღემდე მოღწეული ათასწლოვანი საგვარეულო მურყვამებიც მეტყველებენ, სვანური კოშკები — თავისი სიდიადით, სიმტკიცითა და განუმეორებლობით მსოფლიოს რომ აოცებენ და ჩვენს ქვეყანას ღირსეულად წარმოაჩენენ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ლომის ხეობაში" დღემდე მოღწეული ამ უნიკალური არქიტექტურული შედევრების რაოდენობით, ხერგიანთა საგვარეულო მართლაც გამორჩეულია.

ბატონი მირონი ახლა 75 წლისაა და ისღა დამრჩენია, სულიერი მხნეობა და ქედუხრელობა ვუსურვო ამ ჩინებულ მწერალსა და მამულიშვილს მის მშვენიერ, დიდ ოჯახთან ერთად.

დასარულ, თუ სურვილი გექნებათ ბოლომდე ჩაწვდეთ ამ მართლაც ჩინებული შემოქმედის სულს, გირჩევთ, თუნდაც, მისი ბოლოდროინდელი ავტოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები — „ოქროს ჭედილა, ანუ სვანური აზმანი (მინდორში ნიავს გაკიდებული)" წაიკითხოთ. გამოგიტყდებით, თქვენმა მონა-მორჩილმა ამ ლიტერატურული ქმნილების ჟანრის განსაზღვრაც კი ვერ მოახერხა — რომანია, ავტობიოგრაფია, ეპოქის რეტროსპექტივა, ლირიკული პოემა თუ?.. უნდა ვაღიარო, რომ დავიბენი, მაგრამ გულწრფელად ვიტყვი: ამ ნაწარმოების კითხვისას, თვალზე ცრემლი არ შემშრობია და არც ყელზე მოწოლილ ვეება ბურთსა თუ გორგალს მოუცია თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება.

„ოქროს ჭედილა...", რომელიც პირველი მსოფლიო ომგამოვლილი მამის ხსოვნისადმია მიძღვნილი, დასაწყისშივე გძაბავთ და ბოლომდე საკუთარ ტყვეობაში გამყოფებთ, იმდენად დიდია მასში ტრაგიზმისა და ადამიანური უსასოობის განცდა, რომელიც ამასთანავე, ორგანულად ერწყმის ქართული სულის სიდიადეს, სვანი კაცის ჭირთათმენის უნარს და ქედმოუხრელობას. ნახეთ, როგორ იწყება ეს სევდიანი, მაგრამ ოპტიმიზმით გაჯერებული ნაწარმოები, რა შთამბეჭდავად წარმოგვიდგება ავტორის შინაგანი ინტიმური სამყარო, სადაც პროზა და პოეზია ერთ მთლიანობაშია მოქცეული, მეტად ორიგინალურად ერწყმის ერთმანეთს, რაშიც მკითხველი ქვემოთ მოხმობილი ამ მცირე ამონარიდითაც დარწმუნდება, რომლის სათაური გახლავთ „რიჰა — თენდება!"

## ზაალ ბოტკოველი

# ერთი ჩინებული კაცი, ანუ „ხოჩა მაარე" ათასი კოშკის (მურყვამების) ქვეყნიდან...



მაშ, ასე: რიჰა — თენდება!..

**„შფოთიან ხეობებში გაბნეულო სამონაგრო ბილიკებო! გაგონდებათ, ალბათ, ჯეილებში გარეული ბერიკაცი, თქვენი ერთგული თანამგზავრი. გახსედებათ, ალბათ, ჩემთა წინაპართა „რიჰა!" — გამთენიის სიმღერა; წეროებივით ჩაწალიკებულნი და ჩუმად მოღიღინენი ანდეზე რომ მიუყვებოდნენ უჩინარ წავარნებზე სამონაგრო ბილიკებს ბარისაკენ... მათ ფეხქვეშ იზილებოდა კოლხეთის ჭაობები, ზღვისპირეთის ნესტიანი მიწები... საგულდაგულოდ გაპირულ სვანურ ცელებს მწარე ხშრიალი გაუდიოდათ ასევე კავკასიონის ქედს გადაღმა — ჟეგემისა და ყარაჩაის ღალიან ველებზე, სულაც არ ეთაკილებოდათ დღიური მუშის უმწეო და გაუხარელი ყოფა, კაცურად ღვრიდნენ ოფლს, წელზე ფეხს იდგამდნენ, მზეზე ნათელი და რვალზე გამძლისი სიმართლის შუქი მეგზურობდათ, ვითარცა ენგურის სრბოლვას, მათ სწრაფვასაც ვერავინ შეაჩერებდა. როგორც კი ყველიერის მზე იძალებდა, თოვლი შელხვებოდა, ყაპყი გაარხილდებოდა, „ლომის ხეობის" ქანჩახები მხრებს შეიბერტყავდნენ და როდის-როდის ქარაფებზე ბედისწერასავით გაკიდული ბილიკებიც დაჩნდებოდა, ისინიც აიკრავდნენ გუდა-ნაბადს და შინისაკენ გამოსწევდნენ, მერცხლებივით, გაზაფხულის მაცნეებად მოევლინებოდნენ მთათა ქვეყანას. ნაირ-ნაირი საქონლით დატვირთულებს, ოფლში გახვითქულებს, მართლაც ერთი ხალთა სიხარული მოჰქონდათ ჯალაბისათვის, მაგრამ... რაოდენ უსასრულო და დამთრგუნველი იყო ეს მოლოდინის წუთები!.. გადმოვდგებოდით ყორეზე ნინველა სახლიკაცები, კისერწაგრძელებულნი და თვალმოწკურულნი გავცქეროდით შორეთს — ბარიდან მომავალ მამას პირველი ვინ დაინახავსო...**

**შენ მუხლმორთხმული ჩამოჯდებოდი
რიყის ლოდებთან...
და ოფლისაგან შებოლილი მარილის გუდა,
უმწარე ტვირთი ძილშიაც არ მოგასვენებდა
და იდარდებდი უპატრონოდ
დაგდებულ სახლზე —
იქნებ, პატარებს, მარტოშთენილთ,
მავანმა უმტრო,
ოჯახში ეშმამ და ავსულმა თუ დაიბუდა...**

**განქარდებოდნენ ცთუნებანი
თეთრსხივოსანნი,
წრფელი ფიქრები ქორის დარად
ცად მორიალე,
გზა შინისაკენ, — ერთადერთი
მიზანი მხოლოდ!
პაპაშენმაც ხომ ასე იარა, და სხვამ
არავინ გაგიზიარა
უმძიმე ხვედრი, ბოლოს და ბოლოს!..
— ეჰე, შენც ერთი ლაჩრულად ნუ
მოჰყევი გლოვას,
რიჰა! — თენდება და სამგზავროდ
ადგომის დროა!..**

**...ვიწრო ბილიკი, მღვრიე ტალღები,
ქაფი და ქაფი,
აღარსადა ჩანს ქონგურები
მშობლიურ მთათა,
გამწყდარა ძაფი იმედისა,
რწმენაც გამქრალა —
მარტოშთენილო საკუთარ თავთან!..**

**...ისევ ბილიკი, მღვრიე ტალღები,
ქაფი და ქაფი,
მეხთატეხანი და მაცდური გაელვარება,
ყველა ოცნება შეეწირა
ბედის ღვართქაფებს,
ყველა იმედი დაეტანა გაღვართქაფებას...
შინ რა ჟამია, რა დაგხვდება,
ვინ უწყის, ვინა,
ნუ აბორგდები ლაკირივით
დამწვარო სულო!
იქნებ ზვავებმა დაგინგრიეს
სადგომი — ბინა
და უმცრუანიც შიგ მოჰყვნენ სულაც...
წინაპარივით იყუჩე, სულო!
პაპაშენმაც აქ ხევ-ხევ იარა, და სხვამ
არავინ გაგიზიარა
უმძიმე ხვედრი, ბოლოს და ბოლოს!
— ეჰე, შენც ერთი, დიაცივით
მოჰყევი გლოვას,
რიჰა! თენდება და სამგზავროდ
ადგომის დროა!..**

**...თავში მწკრივდება წინაპართა
რიგი უგრძესი,
შორეულ გზებზე სამონაგროდ
მიბლატუნობენ,
უკან ურჩებათ სევდიანი თვალები სველი...
სოფლის ყორეზე გადმომდგარან
ყინჩად ბავშვები,
სევდამოსილნი კიანთობენ
ლალის თვლებივით,
კონკისძველანი ასხიათ და
ნაბდის ქუდებქვეშ
ღვივიან ღველფში გახვეული
ნაკვერჩხლებივით.
— ნუ აბორგდები, ლაკირივით
დამწვარო სულო,
სხვა ხვედრზე ფიქრი არ გმართებს სულაც!..**

**გაშმაგებული შეუტევდი ვიწრო ბილიკებს,
არ ილეოდა უფსკრულები და სამანები,
ცა იქცეოდა, უსასრულოდ
თოვდა თუ სცრიდა...
ფეხქვეშ წვებოდნენ ყორნისფერი
გზა-წავარნები,
თითქოს ვაჟკაცი კი არა და მთა აეკიდათ...**

**შენ მუხლმორთხმული ჩამოჯდებოდი
რიყის ლოდებთან...
და ოფლისაგან შებოლილი მარილის გუდა,
გაზეკილი და პირთამდე სავსე —
უმწარე ტვირთი ძილშიაც არ
მოგასვენებდა
და იდარდებდი უპატრონოდ
დაგდებულ სახლზე.**

**— ეჰე, შენც ერთი, ლაჩრულად ნუ
მოჰყევი გლოვას,
რიჰა! თენდება და სამგზავროდ
ადგომის დროა!..**

**ოთხმოცი წელი მოარღვევდი
მწუხრის ბილიკებს,
საწუთროს გზებზე იწვა ნისლი
ნიაღვრისფერი...
ვითარც წარაფზე ჯიხვთა ჯოგი
ჩაიჯირითებს,
ოთხმოცი წელი სევდიანი და ულმობელი.**

ოთხმოცი წელი — შავი დენთი გადაირია,
ფუსდის კუნაპეტს სევდიანი
ჰანგები ფარავს,
მერმე მუხთალი განჩინება და რია-რია
და წაბრძანება სულეთის კარად!..

ერთი კირჩხიბიც ჩაესვენა, აწ საუკუნემ
გულსამშვენისად ჩემთვის უნდა
თალოს ლოდები,
მე არ მეშინის, არხეინად ჩავცქერ უკუნეთს,
მამაშვილობა ჩვენი იქაც განმეორდება.

ოთხმოცი წელი მოარღვევდი
მწუხრის ბილიკებს,
საწუთროს მყეფარს ჰგერიობდი
ბარით და ცელით,
სამგლოვიარი ზართა გუგუნს
მთები ირეკლავს
და გიხსენებენ ლამარია, ნათლისმცემელი...“

# გარინდება...

არც რამ ზღვის სიოს დაუქროლია,
არც რამ კირჩხიბი
მომწყდარა ციდან,
სულ სხვა რამ იყო
გარინდების მიზეზი თურმე —
მინდორზე გოგომ ჩამოიარა,
თეძოთა რხევით ჩამოიარა,
კაბის ფრიალით ჩამოიარა!..

გადიწკაპუნა ოქროს წვიმამ
ღოლონარ მოლზე,
თეთრმა რაშებმა
ქარაფებზე გაითქარუნეს,
ივრის ლაქაშებს ჩაუქროლა
წეროთა გუნდმა...
სულ სხვა რამ იყო
გარინდების მიზეზი თურმე —
მინდორზე გოგომ ჩამოიარა,
მხრებზე ეფინა ბულულა თმები,
ჩიქილა ძოწისფერი ებურა,
პერანგზე წვიმის ღილი ებნია,
ღაწვებზე ლალის თრთვილი ებნია,
უნაბისფერი ედო სახეზე...

აბა, სად იყვნენ სანატრელი
ანგელოზები,
აღარც სად კრთოდა ნაპერწკალი
ელვა-მეხისა,
მზეც საბლარდნელში
გასუდრულიყო...
სულ სხვა რამ იყო
გარინდების მიზეზი თურმე —
მინდორზე გოგომ ჩამოიარა,
ნამიან მდელოს უგავდა მკერდი,
ზედ წყვილი ქამა დაყუნცულიყო,
ცირცელისფერი ჰქონდა ტუჩ-ბაგე,
თვალები ჰქონდა შალშავისფერი...

მთიდან მომწყდარი მობღაოდა
ღელე ზაქივით,
თამელის ბუჩქი თელიანში
კვარივით ენთო.
სულ სხვა რამ იყო
გარინდების მიზეზი თურმე —
მინდორზე გოგომ ჩამოიარა,
თეძოთა რხევით ჩამოიარა,
კაბის ფრიალით ჩამოიარა!..
მხრებზე ეფინა
ბულულა თმები,
ჩიქილა ძოწისფერი ებურა,
პერანგზე წვიმის ღილი ებნია,
ღაწვებზე ლალის თრთვილი ებნია,
უნაბისფერი ედო სახეზე.
ნამიან მდელოს უგავდა მკერდი,
ზედ წყვილი ქამა დაყუნცულიყო,
ცირცელისფერი ჰქონდა ტუჩ-ბაგე,
თვალები ჰქონდა შალშავისფერი...

მხილველმა ყოვლი სილამაზის,
მშვენიერების
და ზეაღვსილმა
სიცოცხლის ეშხით,
ჩემად ვიწამე
სამყარო მთელი.
ვითარც წარმართმა,
ჩავიმუხლე სველ ბალახებში
და ღმერთს ვუმღერე
ოქროსფერი საგალობელი...

**მირონ ხერგიანი**

ისტორიის ნამცვრევები

# მედროვენი და სულგაყიდულნი



დემეტრე II თავდადებული

**მედროვენი არც როდის აკლდა საქართველოს (დღესაც უხვად ჰყავს!), მაგრამ სადუნ მანკაბერდელისა და მისი „ღირსეული“ ძის ყუთლუ-ბუღას მსგავსნი — მაინც იშვიათად...**

ერთიანი საქართველოს მეფე, გიორგი IV ლაშას ვაჟი, დიდი თამარის შვილიშვილი, დავით VII ულუ 1270 წელს გარდაიცვალა მუცლის მოარული სენით (უფრო ადრე იმავე სენმა მოინელა ულუს უფროსი ძე, მემკვიდრე უფლისწული გიორგი). დავითს დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი დემეტრე, რომელიც რაჭის ერისთავ კახაბერ კახაბერისძის ასულის, ავაგ ათაბაგის ქვრივის, პირმშვენიერ გვანცასგან ჰყავდა. 1261 წელს მონღოლთა ყაენმა არღუნმა დავით ულუს აჯანყების დროს დატყვევებული დედოფალი გვანცა სიკვდილით დასაჯა, მონღოლური წესით — ხერხემლის გადამტვრევით.

დემეტრე აღსაზრდელად ტარსაიჭ ორბელს გადასცეს. მამის გარდაცვალებისას უფლისწული 11 წლისა იყო. ყაენმა დემეტრე საქართველოს მეფეთამეფედ დაამტკიცა და მისცა მისი სამკვიდრებელი. მცირეწლოვანი მეფისთვის ქვეყნის მართვა-გამგეობაში დასახმარებლად მეურვედ დაუნიშნეს ყაენის კარზე ნდობამოპოვებული და თავიანთ კაცად მიჩნეული სადუნ მანკაბერდელი. იგი იყო გასომხებული და შემდეგ გაქართველებული ქურთი, სამცხის მთავრის ჯაყელის ყმა-აზნაური. ივანე ჯავახიშვილის დახასიათებით „სადუნ მანკაბერდელი თავისებური პიროვნება იყო: ის მონღოლს მონღოლად ეჩვენებოდა, ქართველთან ქართველი, სომეხთან სომეხი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ის მონღოლთა ზნე-ჩვეულებას შეეგუა. მონღოლთა წაბაძვით სამი ცოლი შეირთო“.



დემეტრე II ემშვიდობება ხალხს

დემეტრეს მცირეწლოვნების გამო სადუნი, ფაქტობრივად, მთელ ქვეყანას განაგებდა, ხოლო დემეტრე მეფე „ხელთა შინა სადუნისათა“ იყო.

ერთ-ერთ ცოლად ჰყავდა დემეტრე II-ის და თამარი. თამარი არღუნ ნოინის შვილზე იყო დაქორწინებული, მაგრამ ქართველ პრინცესას საშინლად არ მოსწონდა წარმართი მონღოლის ცოლობა და როდესაც ქმარმა თბილისში ჩამოიყვანა, გაექცა და მთიულეთს შეაფარა თავი. ამით ისარგებლა სადუნმა, მონღოლური წესისამებრ ქმარს შეევაჭრა და მისი ცოლი ფულით შეისყიდა. მეფის სიძეობით სადუნს ყველაფერთან ერთად გარეგნული ბრწყინვალებაც შეემატა. მის ხელთ იყო არა მარტო ქვეყნის მართვა-გამგეობა, არამედ „საქართველოს ლაშქრის საქმე და განგება“.

სადუნმა ერთ-ერთ ცოლად ახალციხელის ასული შეირთო და მზითვად კარის (ყარსის) მახლობლად მდებარე ქვეყანა მიიღო.



არღუნ ყაენი

დემეტრე მეორემ მონღოლთა კარნახით სადუნს ათაბაგობაც უბოძა. ეს მედროვე კაცი კარგად შეეგუა მონღოლთა ბატონობას და დიდი სიმდიდრე და გავლენა მოიპოვა. ამ საქმეში ნიჭი და უნარი გამოიჩინა. როცა საქართველოს მეფეს მონღოლებმა დიდი თანხა შეაწერეს, გადახდა სადუნმა იკისრა, სამაგიეროდ თავისთვის დმანისი და მისი სანახები მოითხოვა. დემეტრეს მცირეწლოვნობისას გამოსტყუა ქალაქები თელავი, ბელაქანი და სხვა სამფლობელოები.

მისი ასეთი გაძლიერება და აღზევება ძალიან არ მოსწონდათ ქართველ დიდგვაროვან ფეოდალებს, მაგრამ სადუნის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი იყო, მას ზურგს მონღოლები უმაგრებდნენ. სადუნის ყოფაქცევით და ზნეობით განსაკუთრებით საეკლესიო წრეები იყვნენ აღშფოთებული. ეკლესიის კეთილგანწყობის მოპოვებას გულუხვი ქველმოქმედებით ცდილობდა. მატიანეში აღნიშნულია, რომ „ის ძალა და უსამართლობა“, რაც „დღეთა მისთა“ ამ მედროვემ ჩაიდინა ქვეყანაში, არათუ ჩამოუვარდებოდა თათარი მოხელეების ძალადობას, არამედ საეჭვოა, რომ რომელიმე მათგანს ამდენი სივერაგის ჩადენა შეძლებოდა.

სადუნი 1282 წელს აღესრულა. მისი სახლის დასუსტების მიზნით დემეტრე მეორემ სადუნის მემკვიდრეს ყუთლუ-ბუღას ათაბაგობა აღარ მისცა. ამან ყუთლუ-ბუღა ძალიან გაანაწყენა, რადგან მამამისივით მასაც ქვეანაში პირველკაცობა უნდოდა. მართალია, სამაგიეროდ ამირსპასალარის თანამდებობა მისცეს, მაგრამ ამან წყენა ვერ გაუნელა და გულბოროტმა მედროვემ მწარედ გადაუხადა სამაგიერო თავის მეფეს.

1289 წ. მეფე დემეტრე II არღუნ ყაენის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით ურდოში დაიბარეს... შეთქმულებას ქართველი მეფის მძახალი ბუღა ნოინი ხელმძღვანელობდა. ამას ყველა მისი ახლობლის და მომხრის ამოხოცვა მოჰყვა. ჭაბუკმა მეფემ თავის გადასარჩენად, რასაც უდავოდ მოყვებოდა საქართველოს დარბევა და ამოჟლეტა, დასავლეთ საქართველოს ან მთიულეთს კი არ შეაფარა თავი, როგორც საგანგებოდ შეყრილი დარბაზი ურჩევდა, არამედ ნაღდ სიკვდილზე წასვლა არჩია და ურდოში გამოცხადდა აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ აბრაამ I-ის და სამღვდელოებისა და დიდებულების თანხლებით, „მე დავდებ სულსა ჩემსა ერისთვის ჩემისა, ვგონებ რომე ქვეყანა უვნებელი დარჩესო“.

თან დიდი სიმდიდრე წაუღია, რაც მონღოლებმა დაუყოვნებლივ ჩამოართვეს. როცა ყაენმა მეფის საჭურჭლე ნახა, გაუკვირდა მისი სიმდიდრე და „მცირედ დაცხრა გულისწყრომისგან და არღარა ეგრე გონებდა ბოროტისა ყოფასა“, ანუ ქართველი მეფის გადარჩენის შანსი გაჩნდა.

მაგრამ აქ საქმეში ჩაერია სადუნ მანკაბერდელის გულბოროტი ნაშიერი ყუთლუ-ბუღა და სასტიკად იძია შური იმის გამო, რომ მას მეფემ ათაბაგობა არ უწყალობა და მამამისის სრული უფლებები არ დაუტოვა. იგი დაკითხვისას დემეტრე მეფის სიტყვებს არასწორად უთარგმნიდა მონღოლებს, ხოლო როდესაც არღუნ ყაენი შეყოყმანდა და მეფის სიკვდილით დასჯა აღარ უნდოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ამით ქვეყანა არ არეულიყო, რადგან მეფობის შესაფერისი კანდიდატი არ ჰყავდა, ყუთლუს შეუთავაზებია გეგმა, დასავლეთ საქართველოდან დავით ნარინის უფროს ვაჟს ვახტანგს გადმოვიყვანო. რაკი ვახტანგი იმერეთის ტახტის მემკვიდრეც იყო, მისი აღმოსავლეთ საქართველოში გამეფებით მონღოლები დასავლეთ საქართველოსაც დაიმორჩილებდნენ. ამ არგუმენტის შემდეგ არღუნი დემეტრეს სიკვდილით დასჯას დათანხმდა.

საქართველოს 29 წლის მეფეს თავი მოკვეთეს 1289 წ. 12 მარტს მოვაკანში, მტკვრის პირას. მამის ბედი ელოდა მის თანმხლებ უფლისწულ დავითს, მაგრამ მეფის პირადი მღვდელი მოსე მუხლებში ჩაუვარდა მონღოლთა მხედართმთავარ ტოღლაჩარ ნოინს და მისი შუამდგომლობით ყაენმა დავით ბატონიშვილს — საქართველოს მომავალ მეფეს (1293-1312 წწ) სიცოცხლე შეუნარჩუნა და დროებით ურდოში დატოვა.

წამებული მეფის ცხედარი მრავალი დღის განმავლობაში ეგდო ღია ცის ქვეშ ნადირ-ფრინველთა საჯიჯგნად, ბოლოს კათალიკოსმა აბრაამმა და მოსე მღვდელმა მცველები დაქრთამეს, ცხედარი გამოაპარეს, საქართველოში ჩამოასვენეს და სვეტიცხოველში დაკრძალეს.

ყუთლუ-ბუღა, ყაენთან შეთანხმებისამებრ იმერეთში გადავიდა და დავით ნარინს შესთავაზა მისი მემკვიდრის ვახტანგის აღმოსავლეთ საქართველოში გამეფება. ყუთლუ-ბუღამ ვახტანგი არღუნ ყაენს წარუდგინა, ყაენმა კი იმიერ და ამიერ საქართველოს მეფედ დაამტკიცა და ცოლად თავისი და ოლჯათი შერთო. ყუთლუ-ბუღა საწადელს ეწია — ათაბაგობა მისცეს. იმედი გაუჩნდა, რომ მამამისივით ქვეყნის მმართველობას ჩაიგდებდა ხელში, მაგრამ მედროვის საუბედუროდ, ვახტანგი კერკეტი კაკალი გამოდგა. იგი ნებისყოფიანი, ძლიერი ხასიათის კაცი იყო და არავის გავლენის ქვეშ არ ექცეოდა...

ყუთლუ-ბუღა დარწმუნდა, რომ ვახტანგი მას არ აპარპაშებდა და მეფის მიმართ მტრობის გზას დაადგა. ახლა საქართველოს მეფედ დემეტრეს უფროსი ვაჟის დავითის გამეფება მოინდომა. დავითი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო და ყუთლუ-ბუღა იმედოვნებდა, რომ იოლად დაიხვევდა ხელზე, მაგრამ მონღოლმა ნოინებმა და ქართველმა დიდებულებმა მას მხარი არ დაუჭირეს. სამწუხაროდ, ვახტანგ II 1292 წელს ავად გახდა და უდროოდ გარდაიცვალა.

ყუთლუმ ვერც ვახტანგის გარდაცვალებით ისარგებლა. იგი თავისივე ინტრიგების მსხვერპლი შეიქნა. ახალმა ყაენმა ქეღათუმ 1293 წლის აგვისტოში ეს უსინდისო მედროვე და ინტრიგანი სიკვდილით დასაჯა. მისი მემკვიდრენი საქართველოს ისტორიაში აღარ ჩანან.

ასე დასრულდა ერთი შავ-ბნელი ოჯახის ზეობა.

**ალეკო ასლანიშვილი**

სულიერება

# წმიდა მოწამე შალვა ახალციხელი



**30 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს შალვა ახალციხელს, გამორჩეულ რაინდს, თამარის მეფობის დროს მხედრობაში მამაც, უშიშარ ქრისტიანს.**

ცნობილია, რომ თამარ მეფემ შალვა დანიშნა ახალციხის მთავრად, შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ მან ხალიფას დროშა წამოიღო, ნიშნად ქრისტიანობის უძლეველობისა და ხახულის ღვთისმშობელს შესწირა სხვა უამრავ ნადავლთან ერთად.

წმიდა თამარის ასულის, რუსუდანის მეფობის დროს ჯალალედინი შემოიჭრა საქართველოში უთვალავი ლაშქრით, რუსუდანმა ქუდზე კაცი იხმო და საომრად შეკრებილ ქართველებს მთავრად მოხუცებული იოანე ათაბაგი დაუდგინა... უშიშრად შეება თორ-ჯავახელების მცირერიცხოვანი ლაშქარი ურიცხვ მტერს, თავგანწირულად იბრძოდნენ ძმები, მაგრამ ამაოდ ელოდნენ მაშველ ჯარს. დამარცხდნენ ქართველები. შალვა ახალციხელი ტყვედ ჩაიგდეს.

ჯალალედინმა უშიშარი რაინდის წამებით მოკვდინება ბრძანა. წამების ჟამს შალვა სიხარულით ამბობდა: **„იხარებდ, ჰოი, შალვა, რამეთუ სამოსელსა თანა ხორცთასა ძუელსა კაცსა აღიძარცვი და ხრწნადთაგან სიმარჯვეთა განთავისუფლდები. დავითმინოთ, შალვა, სიკვდილი ქრისტესთვის, რომელიცა „ერთგზის წინაუძს ყოველსა კაცსა“**.

წმიდა შალვა ახალციხელის ღვაწლმა ხალხურ პოეზიაშიც ჰპოვა ასახვა. პოპულარული ქართული სიმღერა „შავლეგო“ განადიდებს წმიდა შალვა ახალციხელის ხორციელ ვაჟკაცობას და ღვაწლს.

**გიული ლიპარტია**

## სანთელი

შვილი რუსიკო ყურაშვილი, შვილიშვილი გივი თხელიძე, და ლუიზა, სიძე როინ მეტრეველი, დისშვილები ნინო, ვიკა მეტრეველები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მზია ნიკოლაიშვილი**

პანაშვიდი: 1, 2,VII, გამოსვენება 3 VII, 15 სთ. მისამართი: არაყიშვილის ქ. №8.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება თანაუგრძნობენ აკადემიკოს როინ მეტრეველს და ლუიზა ნიკოლაიშვილ-მეტრეველს

**მზია ნიკოლაიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ როინ მეტრეველს ცოლისდის

**მზია ნიკოლაიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ლუიზა და როინ მეტრეველები ოჯახით თანაუგრძნობენ თინა და ჯუმბერ პატიაშვილებს დის

**მზია პატიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს დის

**მზია პატიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, მიხეილ სალაძე სამძიმარს უცხადებენ ჯუმბერ, თინა პატიაშვილებს დისა და მულის

**მზია ილიას ასული პატიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

# SOS „ჩანჩქერის“ ტერიტორია, სადაც ბავშვები იღუპებიან

**„თბილისის ზღვაზე არსებობს რამდენიმე ადგილი, სადაც ყოველ ზაფხულს ბავშვები იღუპებიან“, — ამბობს ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელი ალეკო ცქიტიშვილი. მისი 15 წლის ბიჭი, ცოტნე ცქიტიშვილი, შარშან, 3 ივლისს, სწორედ ერთ-ერთ ასეთ ადგილას, ე.წ. ჩანჩქერის ტერიტორიაზე დაიხრჩო. ერთი წლით ადრე იქვე დაიღუპა 14 წლის ნოდარ შამათავა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სპორტით იყო დაკავებული, მორევთან გამკლავება ვერ შეძლეს.**

დაღუპული ბავშვების მშობლები სასამართლოს მეშვეობით მოითხოვენ, თბილისის ზღვაზე არსებული სახიფათო ტერიტორიები შემოიღობოს, ასევე დაყენდეს ვიდეოკამერები, გაკეთდეს საგუშაგო კოშკურა, რათა მაშველებმა დროულად შეძლონ რეაგირება. მათი თქმით, ზაფხულის სეზონი ამ კუთხით განსაკუთრებით სახიფათოა.

შსს-ის ინფორმაციით, 2015 წლიდან ყოველ წელს „ჩანჩქერის“ მიმდებარე ტერიტორიაზე 3 კაცი იღუპება. ალეკო ცქიტიშვილი განმარტავს, რომ ამ ტერიტორიაზე მოხვედრა შეიძლება სანაპიროდან, რომელიც მერიის საკუთრებაშია, და ასევე მეორე ნაპირიდან, რომელიც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ (GWP) ეკუთვნის, მერიის კუთვნილი სანაპირო ღიაა. რაც შეეხება „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ კუთვნილ ტერიტორიას, ის, მართალია, შემოღობილია და ამკრძალავი ბანერიც არის გამოკრული, მაგრამ, როგორც ალეკო ცქიტიშვილი ამბობს, ეს საქმეს არ შველის. ხალხი, მათ შორის ბავშვები ზედ ამ ბანერზე გადადიან და მათ არავინ აჩერებს. სასამართლოში წარდგენილ მასალას თან ახლავს ფოტოები, რომლებიც droa.ge-მ გადაიღო. ამ ფოტოებზე ჩანს, თუ როგორ ბანაობენ ადამიანები აკრძალულ ადგილას, ასევე — როგორ გადადიან ღობეზე.




ალეკო ცქიტიშვილი: **„ამ შემთხვევის შემდეგ „ჩანჩქერთან“ ბოძები ჩაარჭეს და ეკლიანი მავთულები გაავლეს. ჩვენ ვდავობთ, რომ ეს არ არის საკმარისი. უნდა აშენდეს 2,5 მეტრი ჯებირი მთელ პერიმეტრზე მერიის ტერიტორიის მხრიდან პლაჟამდე, ისე, რომ ჯებირზე ზემოდან იყოს ეკლიანი მავთულხლართი; ბანაობის ამკრძალველი ბანერები მერიის ტერიტორიის მხრიდან უნდა დაყენდეს; ასევე GWP-ს მხრიდან ვიდეოთვალით უნდა გაკონტროლდეს ის ხალხი, რომელიც გადადის ღობეზე; ასევე საჭიროა GWP-ს დაცვის თანამშრომლების პატრულირება ან საგუშაგოს მოწყობა ადგილზე, პლუს, მაშველთა სისტემატიური პატრულირება.**

ადვოკატი **ნესტან ლონდარიძე** ამბობს, მერიის მხრიდან სანაპიროზე მხოლოდ ამკრძალავი ბანერი იყო დაყენებული, ახლა კი ისიც აღარაა.

ნოდარ შამათავას დედა **მაკა წიკლაური** იმაზეც იყო თანახმა, ტერიტორიის დაცვა საკუთარი სახსრებით უზრუნველეყო, მაგრამ მას ამის შესაძლებლობა არ მიეცა.

დაღუპული ბავშვების მშობლები, უკვე ერთი წელია, თბილისი მერიასა და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ უჩივიან, თბილისის მერიაში კი ამბობენ, რომ ეს საკითხი მათ არ ეხებათ და, შესაბამისად, ვერც კომენტარს გააკეთებენ. რაც შეეხება „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“, კომპანიაში აცხადებენ, რომ ინფორმაცია, თითქოს ვინმე „ჩანჩქერთან“ მათი ტერიტორიის გავლით ხვდება, არასწორია..

**თეა თოფურია**

---

# 13 ივლისს მზის დაბნელება კი იქნება, თუმცა პაპანაქება არ დასცხრება...

## აქტიური პროცესები ივლისში

**გრილი გაზაფხულისა და თითქმის მთელი ივნისის შემდეგ, თბილისში, ისევე, როგორც მთელ ამერ-იმერ საქართველოში, ჰაერის ტემპერატურა კრიტიკულ 40-გრადუსიან ზღვარს მიუახლოვდა. არადა, ივლისი და აგვისტო ჩვენში მუდამ ჭეშმარიტად საზაფხულო პაპანაქების დროა ხოლმე. ამდენად, ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს, თუ როგორი აქტიური კლიმატური თუ გეოფიზიკური პროცესები განვითარდება ივლისში.**

აქტიური გეოფიზიკური პროცესები ამ თვეში მოსალოდნელია 1, 4-7, 13-16, 19-21, 25-28 და 31 რიცხვებში. ამ დროს მოსალოდნელია ციკლონებისა და ქარიშხლების ფორმირება, ყველა სახეობის ავარიულობის ალბათობა, ასევე სოციუმში დაძაბულობის მომატება და სეისმოაქტივობის გაძლიერება.

**1 — მთვარისა და მარსის შეერთება მერწყულის თანავარსკვლავედში.** ამ დღეს გაგიმძაფრდებათ გამომგონებლობის ნიჭი, დამოუკიდებლობისა და სიჯიუტის გრძნობები. შესაძლოა ფეხებზე ვენების ვარიკოზული გაფართოება და ტრომბოზი. კარგი დროა დასვენებისა და ძალების აღსადგენად.

**6 — მთვარის ბოლო მეოთხედი ვერძის თანავარსკვლავედში.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა. გამორიცხული არ არის სახის, თვალების, ყურებისა და კისრის ავადმყოფობების გაჩენა, ასევე ქრონიკულ სნეულებათა გამძაფრება.



**7 — მთვარისა და ურანის შეერთება კუროს თანავარსკვლავედში.** ამ დღისთვის დამახასიათებელი იქნება გამბედაობა, საზრიანობა, შეხედულებათა ორიგინალობა, მატერიალური კეთილდღეობისადმი მისწრაფება. გამორიცხული არ არის ცხვირ-ხორხთან და საყლაპავთან დაკავშირებული პრობლემების გაჩენა.

**13 — ახალმთვარეობა, მზის დაბნელება ლომის თანავარსკვლავედში.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა. მზის დაბნელების დღე ეცადეთ მშვიდ, სტრესებისა და მღელვარების გარეშე გაატაროთ.

**15 — მთვარისა და მერკურის შეერთება ლომის თანავარსკვლავედში.** სახასიათო ნიშნები იქნება კომუნიკაბელობა, თავდაჯერებულობა, აზრების მწყობრად გადმოცემის უნარის მომძლავრება. გამორიცხული არ არის გულის სისხლძარღვთა სისტემის მუშაობის არევა.

**16 — მთვარისა და ვენერას შეერთება ქალწულის თანავარსკვლავედში.** სიდინჯე, წუნიობა, ჭირვეულობა, ეჭვიანობა და საკუთარ ძალებში რწმენის შესუსტება იქნება ამ დღის დამახასიათებელი ნიშნები. სტრესებისა და ნერვული დაძაბულობის გამო შესაძლოა საჭმლის მომნელებელი სისტემის აშლა.

**19 — მთვარის პირველი მეოთხედი სასწორის თანავარსკვლავედში.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა. სავარაუდოა თირკმლების, შარდის ბუშტისა და კუჭქვეშა ჯირკვლის სნეულებათა გამძაფრება.

**21 — მთვარის იუპიტერთან შეერთება მორიელის თანავარსკვლავედში.** გამორიცხული არ არის უმიზეზო აგრესიულობისა და გაღიზიანების გამოვლინებები, აგრეთვე სწორი ნაწლავის სნეულებათა და ბუასილის გამძაფრება.

**25 — მთვარისა და სატურნის შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში.** ამ დღეს სავარაუდოა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობების მოძალება. დიდია მუხლების სახსრების დაავადებათა გამძაფრების, ართროზისა და ართრიტის გამწვავება.

**27 — ახალმთვარეობა, მთვარის დაბნელება, მთვარისა და მარსის შეერთება მერწყულის თანავარსკვლავედში.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა. გამორიცხული არ არის არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, სიცხის აწევა, მძაფრი ანთებითი რეაქციები.

**31 — მთვარისა და ნეპტუნის შეერთება თევზების თანავარსკვლავედში.** ამ დღეს მოსალოდნელია გულმავიწყობის მოჭარბება, თუმცა კი, სავარაუდოდ, ამასთან ერთად რომანტიკული გუნება-განწყობის მოძალებაც. შესაძლოა ფეხების დასიება, ტერფების ტკივილი, კანის ალერგიულ დაავადებათა გაჩენა.

# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 1** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით;<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>ე) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ''გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' და ,,წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). |
| | | ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალკახათის მიმდებარე ტერიტორია, ახალკახათის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) – 97 290 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალკახათის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 65 226 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 6522.6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 723 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 2 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018- წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 30 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №2** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | ნ | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო-საქმისათვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით.<br>გ) უნდა გამოირიცხოს ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. ჭანისწყლის მარცხენა შენაკადის, უსახელო V-სებური პროფილის მქონე ხეობის კალაპოტში. |
| | | დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.<br>ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ''გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ'' და ,,წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქოყოს მიმდებარე ტერიტორია, |
| | კონკრეტული ობიექტი | „ქოყოს“ ანდეზიტო-ბაზალტის (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 29 940 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქოყოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 380 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 638 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 390 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 2 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018- წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 30 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 3** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა თერმული წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა თერმული წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, |

| | | |
|---|---|---|
| | | აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა თერმული წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ;<br>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც;<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შედგენილობაზე;<br>ი) მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის ვადაში შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;<br>კ) ლიცენზიის მფლობელმა განახორციელდეს სანიტარული ზონების დაცვა;<br>ლ) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;<br>მ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს ჭაბურღილის შემოღობვა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება;<br>ნ) ჭაბურღილიდან უნდა აღიკვეთოს წყლის უმიზნოდ დაღვრა.<br>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>პ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ჟ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა.<br>რ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ს) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბორჯომის მუნიციპალიეტეტი, დაბა ბაკურიანი, დიდველის ტერიტორია, N1 ჭაბურღილიდან სუბთერმული წყლის (ბალნეოლოგიურ-ჰიგიენური დანიშნულებით) მოპოვება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 12 000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბორჯომის მუნიციპალიეტეტი, დაბა ბაკურიანი, დიდველის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 2 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018- წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 30 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონზე, ,,ჭყვიშის" ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია $C_1$+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 204 840 $მ^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის მიმდებარე ტერიტორია, |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 137 331 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 13 733.1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 10% | 13 933 ლარი |
| | თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 2 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018- წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 30 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს უნდა გამოირიცხოს ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. ბუგდაშენის კალაპოტში.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.<br>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი |

| | | |
|---|---|---|
| | | შემდგომი გამოყენებისათვის.<br>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>კ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. სათხეს მიმდებარე ტერიტორია, "სათხეს" ბაზალტის (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 7080 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. სათხეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 724 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 172.4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 062 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 2 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018- წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 30 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა |
| | | გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 6**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ |
| | | დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლახანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნენსკრას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 144 495 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლახანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 96 874 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 9 687.4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 9 887 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 2 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018- წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 30 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 7**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს პოტენციური ჰესის (ტობარი ჰესი) არეალში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; |
| | | ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა იფარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 67 200 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა იფარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 45 053 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4505.3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 705 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 2 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018- წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 30 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 30 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |




# შურისძიების მიზნით თავს დაესხა რედაქციას...

**აშშ-ში გაზეთის რედაქციაში სროლის შედეგად ხუთი ადამიანი გარდაიცვალა. რამდენიმე მძიმედაა დაჭრილი. განაცხადა გამართულ ბრიფინგზე ქალაქის პოლიციის წარმომადგენელმა.**

სროლა მერილენდის შტატში გამომცემლობა „Capital Gazette"-ში მოხდა. პოლიციამ გაზეთის რედაქციაში გარდაცვლილი პირების სახელები დაასახელა — უენდი უინტერსი, რებეკა სმიტი, რობერტ ჰაიასენი, ჯერელ ფიშმანი და ჯონ მაკნამარა.

მანამდე ჟურნალისტმა და მწერალმა კარლ ჰაიასენმა განაცხადა, რომ მისი ძმა რობერტიც იყო გაზეთის რედაქციაში დაღუპულთა რიცხვში.

**„როგორც მე მესმის ყველა გარდაცვლილი გაზეთის თანამშრომელია",** — აცხადებენ პოლიციის წარმომადგენლები. ეჭვმიტანილის ვინაობა დასახელებული არ იქნა. თუმცა, მედია ავრცელებს ინფორმაციას რომ ის ჯეროდ უორენ რამოსია.

რამოსი მრავალი წლის მანძილზე უშედეგოდ დაობდა გაზეთთან და ლანძღავდა მის თანამშრომლებს ინტერნეტის საშუალებით. შესაბამისად გაზეთის თანამშრომლებზე თავდასხმის მიზეზი შესაძლოა, შურისძიება იყოს.

# აშშ-ს შეიძლება 51-ე შტატი დაემატოს

**აშშ კონგრესი განიხილავს კანონპროექტს, რომელიც პუერტო რიკოს კუნძულის შტატის შემადგენლობაში მიღებას ვარაუდობს.**

დოკუმენტი წარადგინა პუერტო რიკოს წარმომადგენელმა კონგრესის ქვედა პალატაში — ჯენიფერ გონსალეს-კოლონმა და კიდევ 37-მა კონგრესმენმა რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიიდან.



**„დღეს ისტორიული დღეა. მე ამაყი ვარ, რომ ვიყავი ერთ-ერთი იმათთაგანი, რომელიც ხსნის გზას პუერტო რიკოს დეკოლონიზაციისკენ",** — წერს გონსალეს-კოლონი Twitter-ზე.

ცნობისთვის, პუერტო რიკო 1898 წლიდან აშშ-ის ტერიტორიად იქნა გამოცხადებული. მისი მცხოვრებლები არიან ამერიკის მოქალაქეები, თუმცა არ შეუძლიათ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის მიცემა და კონგრესში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ჰყავთ ხმის მიცემის უფლებით. პუერტო რიკოს მოსახლეობამ 2017 წელს რეფერენდუმში განსაზღვრა ახალი პოლიტიკური სტატუსი. მათ ხმა მისცეს აშშ-ის შემადგენლობაში 51-ე შტატის სტატუსით შესვლას.

# ჩავუშოღლუ აშშ-ის წინააღმდეგ

**„მსოფლიო ვალდებული არ არის, აშშ-ის მოთხოვნებს დაექვემდებაროს."-განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ. მისი თქმით,**



**ეს პირველ რიგში ანტიირანულ სანქციებს ეხება. ჩავუშოღლუ მიიჩნევს, რომ თურქეთსა და ირანს შორის არსებული უთანხმოების მიუხედავად ანკარა აშშ-ის ანტიირანულ სანქციებს არ შეუერთდება. „აშშ-ის გადაწყვეტილება ირანს სანქციები დაუწესოს, მთელს რეგიონზე უარყოფითად აისახება, ამასთან თურქეთზეც და საუდის არაბეთზეც. ირანი თურქეთის ეკონომიკური პარტნიორია",** — განაცხადა ჩავუშოღლუმ.

**დანართი №1 (5 ფურცელი)**
**დამტკიცებულია**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის**
**2018 წლის „28" „ივნისის"**
**№ 01-01-3/301 ბრძანებით**

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| N | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში | საწყისი ფასი (ლარი) | ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქობულეთი, დავით აღმაშენებლის ქ.N275 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 70 000 $მ^3$/წელიწადში (ორ ჭაბურღილზე) | 800,00 | 400,00 |
| 2 | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისძირი | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 12 000 $მ^3$/წელიწადში | 139,00 | 250,00 |
| 3 | ქ.ბათუმი, ლეონიძის ქ.N27 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3 650 $მ^3$/წელიწადში | 42,00 | 210,00 |
| 4 | ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N21 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 18 250 $მ^3$/წელიწადში | 209,00 | 250,00 |
| 5 | ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N40 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 7 300 $მ^3$/წელიწადში | 84,00 | 220,00 |
| 6 | ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N183 (ყოფილი მეჯინისწყლის დასახლება) | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 5 წელი | 7 300 $მ^3$/წელიწადში | 139,00 | 250,00 |
| 7 | ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N92 (ყოფილი ანგისის დასახლება) | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 5 წელი | 7 300 $მ^3$/წელიწადში | 139,00 | 250,00 |
| 8 | ქ.ბათუმი, აფსაროსის გზატკეცილი N6 (ყოფილი ახალსოფლის დასახლება) | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 5 წელი | 7 300 $მ^3$/წელიწადში | 139,00 | 250,00 |

# ახალ გუდაურში ტვირთამწის დემონტაჟის დროს მამაკაცი გარდაიცვალა

**შსს ახალ გუდაურში ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.**

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტში ახალი გუდაურის ტერიტორიაზე მომხდარი შემთხვევის დროს ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების ნორმების დარღვევას გულისხმობს.**

**მიმდინარე წლის 28 ივნისს ყაზბეგის რაიონში, ახალი გუდაურის შესასვლელთან მდებარე ავტოსადგომის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სატრანსპორტო საშუალების — ე.წ. მუხლუხა ტვირთამწის დემონტაჟი, რა დროსაც ამწეს დეტალი მოსწყდა და ერთ-ერთ მუშას — 1982 წელს დაბადებულ ხ.ტ.-ს დაეცა. იგი მიღებული დაზიანებების შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა. ამ დროისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე შესაბამის საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ", — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.**

# ხანძარს ორი წლის გოგონა ემსხვერპლა

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენში ორსართულიან სახლს ცეცხლი გაუჩნდა, რასაც ორი წლის გოგონა ემსხვერპლა. ხანძრის დროს, სახლში ორი მცირეწლოვანი ბავშვი იმყოფებოდა და მხოლოდ ერთის გამოყვანა მოხერხდა.**



**ადგილზე სახანძრო სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები და სამართალდამცავები იმყოფებოდნენ...**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეჯინისწყალი | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 200 000 მ³/წელიწადში | 2 284.00 | 700,00 |

| | |
|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 245429200 |
| მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; |
| | ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 03 ივლისის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 03 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 03 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 03 აგვისტოს დღის 18.00 საათზე |
| სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## მოზარდს ავტომანქანა დაეჯახა



**თბილისში,** ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მოზარდს ავტომანქანა დაეჯახა. ავარიის შედეგად მოზარდმა გონება დაკარგა. ის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმებმა კლინიკაში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მათი ცნობით, ავტომობილის მძღოლს შემთხვევის ადგილი არ დაუტოვებია.

## ალაზანში ავტომობილი გადავარდა

**კახეთში,** თელავი-ნაფარეულის გზაზე გვიან ღამით მსუბუქი ავტომობილი მდინარე ალაზანში გადავარდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ერთი ბავშვია.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების ჯგუფმა თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა. მომხდარზე გამოძიება ტრანსპორტის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე დაიწყო, რამაც ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

## ქვეწარმავლებმა სამი ადამიანი დაკბინეს

**ბოლო** ორი დღის განმავლობაში გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში ორი შემთხვევა დაფიქსირდა. ქვემო კიდურების არეში დაკბენილები სამედიცინო ცენტრ „გორმედში“ შეიყვანეს, მათ შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ. კლინიკაში ამბობენ, რომ ანტიგიურზინის გამოყენება არც ერთი შემთხვევის დროს არ გახდა საჭირო. ექიმი დავით გასიტაშვილი მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს. ექიმის თქმით, აუცილებელია ქალაქგარეთ, იმ ადგილებში გასვლის შემთხვევაში, სადაც ქვეწარმავლების სიმრავლე შეინიშნება, დაცული ფეხსაცმელი და ტანსაცმელი ატარონ.



## საფრანგეთი მიგრანტებისთვის ცენტრებს არ გახსნის

**„საფრანგეთი პირველადი შესვლის ქვეყანა არ არის. ბევრს უნდა, რომ ეს გვაიძულოს, მაგრამ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, რადგან ჩვენ ყოველ წუთს არ უნდა ვცვალოთ ჩვენი პრინციპები და მუშაობის მეთოდები“,** — განაცხადა მაკრონმა.

## ევროკავშირში მიგრაციის თემას რუსეთის სანქციებიც მიაყოლეს

**ბრიუსელში ევროკავშირის ლიდერები 12-საათიანი დისკუსიის შემდეგ, მიგრაციის თემაზე საბოლოო დოკუმენტზე შეთანხმდნენ. დოკუმენტის მიღება იტალიის პოზიციის გამო გაჭიანურდა, რომმა მიგრაციის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერაზე უარი განაცხადა, სანამ ყველა საკითხთან დაკავშირებით არ მოხდებოდა პოზიციების შეჯერება.**



საბოლოოდ მიღებული დოკუმენტის თანახმად, ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალთა შესვლის შესაზღუდად ზომები გამკაცრდება, ნებაყოფლობით, ევროპაში მიგრანტების კონტროლირების ცენტრები შეიქმნება, არალეგალთა ტრეფიკთან საბრძოლველად ევროკავშირი მესამე ქვეყნებთან ითანამშრომლებს, ასევე ევროკავშირის შიგნით მიგრანტების მეორად გადაადგილებაზე კონრტოლს წევრი სახელმწიფოები თავად განახორციელებენ ისე, რომ შენგენის ზონას საფრთხე არ შეექმნება.

დამღლელი დისკუსიის შემდეგ ევროკავშირმა პოლიტიკური გადაწყვეტილებაც მიიღო და რუსეთს სანქციები გაუხანგრძლივა. სანქციები კიდევ ექვსი თვით, ანუ 2019 წლის იანვრის ბოლომდე გაგრძელდება. დაწესებული ზომები რუსეთის საბანკო, ფინანსურ და ენერგეტიკულ სექტორებთან თანამშრომლობას ზღუდავს.

## ტრამპმა მაკრონს ევროკავშირიდან გასვლა შესთავაზა

**აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუილ მაკრონს ევროკავშირიდან გასვლას სთავაზობდა, ამის შესახებ ინფორმაციას Washington Post წერს.**

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად პრეზიდენტებმა თეთრ სახლში შეხვედრისას სავაჭრო ურთიერთობების საკითხები განიხილეს. **„რატომ არ გახვალთ ევროკავშირიდან?“** — გაზეთის წყაროს ცნობით ტრამპმა მაკრონს ჰკითხა, რის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანგ კოლეგას, ევროკავშირის დატოვების შემთხვევაში უკეთეს პირობების ორმხრივი სავაჭრო შეთანხმება შესთავაზა.



# გილოცავთ



**პროფესორ** გივი მინდელის საზოგადოების წევრები **რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი**

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს, საქართველოს სამედიცინო ბრწყინვალე საზოგადოების გამორჩეულ წარმომადგენელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის დეპარტამენტის ემერიტუს-პროფესორს, ევროპისა და ამერიკის კარდიოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრს, დიდებულ მამულიშვილსა და უშესანიშნავეს პიროვნებას, ბატონ

## ბონდო ქობულიას

ბატონო ბონდო! გულით გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობასა და მხნეობას თქვენი დიდი მონაგრისა და უახლოესი მეგობრების საკეთილდღეოდ.

მრავალჟამიერ ბატონო ბონდო!

* * *

**გაზეთ** „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის სახელით გულწრფელად ვუერთდებით პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრთა მილოცვას ბატონ ბონდო ქობულიასადმი და სიამაყის გრძნობით დავსძენთ, რომ 80 წლის იუბილარი არის ჩვენი გაზეთის მარად სასურველი ავტორი და თანამდგომი, შესანიშნავი პუბლიცისტი და ექსპერტი, ზომიერებისა და სიკეთის განსახიერება, ჩინებული ექიმი-კარდიოლოგი და ათასობით ადამიანის გულის მკურნალი, შესანატრი ოჯახის პატრონი და დიდი სამეგობროს თვალისჩინი... ბონდო ქობულია ამერიკულ-ევროპული განათლების მქონე დახვეწილი ინტელიგენტია და მასთან ურთიერთობა, როგორც მკურნალთან და დიდბუნებოვან ადამიანთან, დიდი ბედნიერებაა.

მხნედ, ჩვენო უბერებელო მეგობარო, სულით და ხორცით ლამაზო კაცო, გფარავდეთ უფალი და თქვენი მადლიერი პაციენტების გულწრფელი ლოცვა!..

**სპარტაკ ქობულია, გურამ გოგიაშვილი**

# სიმკაცრის საფასური



**მკაცრი სასჯელი ბავშვს აგრესიულს ხდის. გამოკვლევებმა დაადგინა, რომ ბავშვები, რომლებსაც გაუწონასწორებელი მშობლები ზრდიდნენ, მეგობრებს არასდროს უზიარებდნენ საჭმელსა და სათამაშოებს, კამათის დროს კი არაფრით არ იზიარებდნენ სხვის პოზიციას.**

გარდა ამისა, მათ მეგობრებიც ცოტა ჰყავთ, აკადემიური მოსწრებაც უარესი. აღსანიშნავია, რომ საპასუხო აგრესია ბავშვებს ათი წლის ასაკისთვის უყალიბდებათ.

# დაიძინე, ჩემო პატარავ!



**ბავშვობაში ძილის უკმარისობა სიცოცხლეს ამოკლებს, — მიაჩნიათ ამერიკელ მედიკოსებს. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ბავშვურ ასაკში ძილის უკმარისობა აჩქარებს უჯრედების დაბერების პროცესს და სიცოცხლის ხანგრძლივობას ამცირებს.**

აღმოჩნდა, რომ 7-8 საათის ხანგრძლივობის ძილი ქრომოსომების ბოლოების (ტელომერების), რომლებიც უჯრედობრივი ასაკის მარკერები არიან, შემოკლებას იწვევს: რაც მოკლეა ტელომერა, მით უფრო მეტია ორგანიზმის ბიოლოგიური ასაკი. ბავშვებს კი, ვისაც 9-11 საათი ეძინათ, ასეთი რამ არ აღენიშნებოდათ.

# მაინც რით განვსხვავდებით ერთმანეთისგან

**ეს კითხვა ზოგჯერ ხუმრობით, ზოგჯერ სრული სერიოზულობით, მაგრამ საზოგადოებაში ძალიან ხშირად ისმის — მაინც რატომაა, რომ მამაკაცებსა და ქალებს უჭირთ ერთმანეთის გაგება?**



ამაზე მეცნიერებს ასეთი პასუხი აქვთ: ქალის ტვინში ნახევარსფეროების დამაკავშირებელი ნეირონული კავშირები ჭარბობს, მამაკაცის ტვინში კი — ეს კავშირები გაცილებით ინტენსიურია ერთი ნახევარსფეროს სხვადასხვა უბნებს შორის.

სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ ქალს ერთდროულად რამდენიმე რამეზე შეუძლია ფიქრი, მამაკაცი კი ამოცანის გადაწყვეტას თანმიმდევრულად მიჰყვება.

# რატომ იხსნება ფეხსაცმლის ზონრები?

**ამერიკელმა მეცნიერებმა შეისწავლეს სპორტული ფეხსაცმლებით სირბილის ვიდეოჩანაწერი და დაადგინეს, თუ რა ძალების ზემოქმედებით იხსნება ზონრები თავისით.**

აღმოჩნდა, რომ ფეხის მიწაზე დაკვრისას მარყუჟი იჭიმება, შემდეგ კი კვლავ იკუმშება. როგორც კი ის შესუსტდება, ინერციის ძალა ზონრების ბოლოებზე ზემოქმედებასა და მათ მარყუჟიდან ამოქაჩვას იწყებს.



— საინტერესოა, რომ ზონრები შეიძლება დიდი ხნის მანძილზე არ გაიხსნას, მაგრამ მერე საკმარისია მხოლოდ ერთი მოძრაობა და პროცესი უკვე შეუჩერებელი ხდება, — აცხადებენ მკვლევარები.

მათი აზრით, მარყუჟის სიმტკიცე არა იმდენად ზონრის მასალაზეა დამოკიდებული, როგორც თავად მის სახეობაზე.

# რობოტმა სოფიამ ანგელა მერკელი დაამშვიდა



**ჰუმანოიდმა რობოტმა სოფიამ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, სამხრეთ კორეის ნაკრებთან გერმანიის ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი ნაკრების დამარცხების შემდგომ დაამშვიდა.**

სოფიასა და ანგელას შეხვედრა ბერლინში მიმდინარე კონფერენციაზე „ეთიკა და მანქანები" შედგა.

რობოტი სოფია ჰონკონგური კომპანია Hanson Robotics-ის მიერაა შექმნილი. როგორც ცნობილია, ის საუდის არაბეთის მოქალაქე გახდა. სოფია პირველი რობოტია, რომელმაც მოქალაქეობა მიიღო. თავის მხრივ, საუდის არაბეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც რობოტი მოქალაქე ჰყავს.

ჰუმანოიდ რობოტს ადამიანის მსგავსი ვიზუალი, ქცევები და ემოციები აქვს.

მერკელთან შეხვედრისას რობოტმა უპირატესობა ინგლისურ ენას მიანიჭა, თუმცა მას ბრწყინვალედ ესმის გერმანულიც.

„სოფია, არ გეწყინოს, რომ მე გერმანულად ვილაპარაკებ: ჩვენ ადამიანები ხშირად ვარღვევთ პროტოკოლს", — განაცხადა კანცლერმა.

სოფიასა და ანგელას შეხვედრისას საუბარი ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს და გერმანიის ნაკრების მარცხსაც შეეხო. იმისათვის, რომ კანცლერი დაემშვიდებინა, სოფიამ ნაკრების ტიტულებზე და მის გამარჯვებებზე ხაზგასმით ისაუბრა.

**„რეტროსპექტივის თვალსაზრისით ყველაფერი სწორია, მაგრამ დღეს ჩვენ ყველანი დამწუხრებულნი ვართ"**, — აღნიშნა მერკელმა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს−323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4535; ევრო - 2.8439;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2138;
100 რუბლი - 3.8967; თურქული ლირა - 0.5340;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4475;
1000 სომხური დრამი - 5.0955.

### ამინდი 30 ივნისისთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +19, | დღე +40 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +13, | დღე +37 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +19, | დღე +37 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +18, | დღე +37 |
| თბილისი: | ღამე +23, | დღე +35 |

### დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge